CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 24 აპრილი, 2009 წელი. №88 (2126) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ოპოზიციის
უცვლელი მარშრუტი
A2

კლინტონი
ისლამაბადს
აკრიტიკებს
A7

კიდევ ერთი
მცდელობა ქართული
კინოს გადასარჩენად
A11

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჯეინს საადაზღვევო ჯგუფი

კრემლის წარუმატებლობა

დიმიტრი ავალიანი

მოსკოვი ნატო-ს კვლავ საყვედურობს საქართველოში დაგეგმილი წვრთნების გამო, თუმცა აღიარებს, რომ მათ ჩაშლას ვერ შეძლებს. კრემლი საქართველოსა და ნატო-ს მიმართ ტრადიციულ ბრალდებებს იმეორებს. საპასუხოდ, დასავლეთი რუსეთს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ მისი გავლენის სფეროების აღიარებას არ აპირებს. უკმაყოფილება მოსკოვის ზეწოლაზე, რასაც კრემლი საკუთარ მოკავშირეებზე ნატო-ს წვრთნებში მონაწილეობის გამო ახდენს, ერევანშიც გაისმა.

"ალიანსმა ბუქარესტის სამიტზე პროვოკაციული როლი ითამაშა იმ გადაწყვეტილებით, რომ საქართველო და უკრაინა ნატო-ს წევრები გახდებიან. ამით სააკაშვილს ყველაფრის კეთებისა და დაუსჯელობის განცდა შეექმნა," - ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბრიტანული ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-ს ეთერში გააკეთა.

მისი თქმით, **"საყურადღებოა, რომ უკრაინა ქართული რეჟიმისთვის იმ იარაღის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გახდა, რომლითაც ცხინვალსა და ოსურ სოფლებში სამშვიდობოები და მშვიდობიანი მოსახლეობა დახოცეს."**

გაგრძელება A3 გვერდზე

AFP ' 2009

დევიდ მილიბენდი: "ნატო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას და რუსეთის გავლენის სფეროებს არასდროს აღიარებს"

ქახელების აღმა ხნული, ქართლელებმა დაღმა ფარცხეს"

მედეა თუშმალიშვილი
უზენაესი საბჭოს დეპუტატი
საფრანგეთი, 2009 წ. აპრილი

რუსეთ-საქართველოს ომის დროს ვლადიკავკაზში ჩასულმა პუტინმა ნათლად დამკფიოდ ჩამოაყალიბა რუსეთის გეოპოლიტიკური დოქტრინა კავკასიის მიმართ: ჩვენ აქ ვართ, ჩვენ აქ ვიყავით, ჩვენ აქ ვიქნებით". ამერიკასარ ალმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, დაწყებული 7 ნოემბრის აქციების მზადებიდან დღემდე, რუსეთის პრემიერის ციტირებული კონცეფციის კონტექსტშიუნდა განვიხილოთ. დღეს ხშირად ისმის კითხვა, თუ რა მსგავსებაა 90-იანი წლებისა და საქართველოში შექმნილ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას შორის. ვფიქრობ, არის სამი ძირითადი საკითხი, რომელიც ამ ორ პერიოდს ერთმანეთთან აკავშირებს და ამსგავსებს:

რუსეთის როლი ქართულ პოლიტიკაში;
ქართული ოპოზიციის რადიკალიზმი;
ე. წ. ელიტარული საზოგადოების მიმართება ამ ორ ფენომენთან.

გაგრძელება A4 გვერდზე

თურქეთი და სომხეთი ურთიერთობების მოგვარებას იწყებენ

ივა შილაკაძე

გუშინ ოფიციალურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ 22 აპრილს შვეიცარიაში, ამ ქვეყნის საგარეო უწყების შუამავლობით, თურქეთი და სომხეთი ურთიერთობების შემდგომ ნორმალიზაციაზე შეთანხმდნენ. შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და სომხეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შესაბამის დოკუმენტს, ე.წ. "საგზაო რუკას", რომელიც, ფაქტობრივად, მომავალში განსახორციელებელი ნაბიჯების გეგმაა.

შეხვედრის შემდეგ ერთობლივი განცხადებაც გააკეთეს. უშუალოდ "საგზაო რუკის" შინაარსი არ ხმაურდება. ეს მოლაპარაკებებიც შვეიცარიის შუამავლობით თითქმის ორ წელიწადს საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა. შეთანხმების შემდეგ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ **"სომხეთმა და თურქეთმა მიაღწიეს შეთანხმებას ორმხრივი ურთიერთობის მოგვარების შესახებ არსებული საკითხების მთელ სპექტრში.**

გაგრძელება A7 გვერდზე

CMYK - 1

ალასანია პოლიტიკურ პარტიას ქმნის

ქართულ პოლიტიკურ რეალობას კიდევ ერთი პოლიტიკური პარტია შეემატება. "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია უახლოეს მომავალში პარტიის შექმნას გეგმავს.

ალასანიას გუნდის წევრთა განცხადებით, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ახალი პარტიის შექმნა აუცილებელია. **პარტიის შექმნა იგეგმება, რადგან ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ გვაჩვენა, რომ აუცილებელია, შეიქმნას ახალი სუბიექტი და იყოს გამოკვეთილი ლიდერი. ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, რომ გაერთიანდეს ირაკლი ალასანიას პარტიაში. ჯერჯერობით პარტიის შექმნის კონკრეტული თარიღის დასახელება არ შემიძლია, რადგან ამ ეტაპზე უფრო მეტ დროს მიმდინარე მოვლენებს ვუთმობთ,** - აღნიშნა გაზეთ 24 საათთან საუბრისას ალიანსი საქართველოსთვის" წევრმა ზურა აბაშიძემ.

ალიანსის წევრთა განცხადებით, ირაკლი ალასანიას მიერ პარტიის შექმნის იდეა ახალი არ არის და ამ საკითხზე ალიანსის წევრები იმთავითვე შეთანხმებულნი იყვნენ. **პარტიის შექმნის ზუსტი თარიღი გადაწყვეტილი არ არის, თუმცა პარტიის შექმნას განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთ სამომავლო საკითხს. ამჟამად დაგეგმარებაზე არ ვმუშაობთ, რადგან ამ ეტაპზე სხვა საკითხებით ვართ დაკავებულები, მაგრამ მოსაზრებებზე მსჯელობა მიმდინარეობს,** - განაცხადა 24 საათთან საუბრისას ალიანსი საქართველოსთვის" წევრმა ალექსი პეტრიაშვილმა.

ოპოზიციური სპექტრისთვის ახალი პარტიის შექმნის პერსპექტივა სიახლე არ აღმოჩნდა.

როგორც მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ განაცხადა, პარტიის შექმნის შესახებ საუბარი იმ დროიდან დაიწყო, როდესაც ალასანიამ საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბა და აქ ახალი არაფერია.

აღნიშნული ინფორმაცია არც რესპუბლიკური პარტიისთვის" არის სიახლე. **ალასანიას მიერ გუნდის შექმნა პარტიის შექმნის წინაპირობა იყო, თუმცა ამ ეტაპზე მიმდინარე მოვლენებით ვართ დაკავებულები და ამაზე საუბარი არ არის,** - განაცხადა რესპუბლიკელების" ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა.

ოპოზიციის წევრთა განცხადებით, ახალი პარტიის შექმნის შემდეგ ალიანსს დაშლის საფრთხე არ ემუქრება. **ალასანიას მიერ პოლიტიკური პარტიის შექმნის შემთხვევაში ალიანსს დაშლის საფრთხე არ ემუქრება, რადგან მასში გაერთიანებულია ორი პოლიტიკური პარტია და მათ მესამეც დაემატება,** - განაცხადა მანანა ნაჭყებიამ.

ნათია მსხილაძე

საქართველო ევროპის ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად დასახელდა

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კვლევის Doing Business-ის შედეგების მიხედვით, საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყანებს შორის ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად დასახელდა. კვლევა ბოლო 5 წლის მონაცემებზე დაყრდნობით მსოფლიოს 150 ქვეყანაში ჩატარდა. ქვეყნები 5 ჯგუფად იყვნენ დაყოფილები. საქართველოს სპეციალური სიგელი იმ რეფორმებისთვის გადაეცა, რომლებიც ქვეყანამ ამ ხნის განმავლობაში უძრავი ქონების რეგისტრაციის, სამშენებლო ნებართვის გაცემის, ბიზნესის დარეგისტრირების გამარტივებისა და საგადასახადო სისტემის კუთხით გაატარა. Doing Business-ის შეფასებები საქმიანი ურთიერთობების მარეგულირებელი მაჩვენებლების მიხედვით ობიექტურად კეთდება. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კვლევაში გაწერილია ყველა ის რეფორმა, რომელთა მიხედვითაც საქართველო ევროპის ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყანა გახდა. მათ შორის არის უძრავი ქონების რეგისტრაციის სფეროში გატარებული რეფორმა, რომლის შეფასებაც პროცედურების რაოდენობის, დასარეგისტრირებლად საჭირო დროისა და ფასის ფაქტორების გათვალისწინებით ხორციელდება. აღნიშნულ რეიტინგში საქართველო 2008 წელს მეორე ადგილზე გავიდა, 2007 წელს - მე-11-ზე, ხოლო 2006 წელს - მე-16-ზე.

პირველი

ოპოზიციის უკვლელი მარშრუტი

დათო გამისონია

ნანეკა კიკალეიშვილის ფოტო

მიტინგი საზოგადოებრივ მაუწყებელთან

პოლიტიკურმა ოპოზიციამ, წინა დღეების მსგავსად, გუშინდელი დემონსტრაციაც გადამწყვეტ შეკრებად შეაფასა. გუშინდელ საინფორმაციო მიტინგზე კუკავამ მომიტინგეებს პირველი გამარჯვების შესახებ აცნობა. **მინდა, მივულოცო საპროტესტო აქციის მონაწილეებს, რომ პარლამენტის შენობის პიკეტირებამ შედეგი უკვე გამოიღო. საქართველოს პარლამენტის აბსოლუტურად ყველა კომიტეტი ამ კვირაში გასვლით სხდომებს რეგიონებში ჩაატარებს. მალე ასეთვე განცხადებას გავაკეთებინებთ მთავრობის კანცელარიასაც,** - განაცხადა კუკავამ.

მომიტინგეთა გამარჯვებების თემა განაგრძო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ. მან განაცხადა, რომ მომიტინგეებს ნაციონალური მოძრაობის ნაძალადევის ორგანიზაციის მთელი შემადგენლობა შეუერთდა. **საქართველოს ერის და ბერის გამთლიანება იწყება. დღეს არის პირველი და უდიდესი ნაბიჯი. ამ პლაკატზე წერია, რომ ჩვენს გვერდით დგება ნახალოვკის მთელი ნაციონალური მოძრაობა - ლევან მაისურაძე, კოტე ლომიძე, კობა კობაიძე, მამუკა მჭედლიშვილი, პაატა გაგნიძე...** - აუწყა მომიტინგეებს გაჩეჩილაძემ. ნაციონალური მოძრაობის იმ, უკვე ყოფილი წევრების თქმით, რომლებთაც ნაციონალობის დამადასტურებელი მანდატებიც კი არ აღმოაჩნდათ, მათი გადაწყვეტილება ხალხთან დგომის სურვილით არის განპირობებული. გაჩეჩილაძემ ნაციონალური მოძრაობის ნაძალადევის ზონის წევრები სათითაოდ წარადგინა და შემდეგ აღნიშნა, რომ **მართლა ღმერთი არ გაუწყრეთ და ამ ხალხს დევნა არ დაუწყონ. ტყუილად არ გამოვაცხადე მათი სახელები და გვარები, ვინც ამათი დევნის თანამონაწილე იქნება, მათ ჩემი დევნა აქვთ გამოწერილი.** სიტყვით გამოსვლისას დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ვარდების რევოლუციის დროს მიმდინარე მშვიდობიანი მანიფესტაციები გაიხსენა. მან აღნიშნა, რომ **ამ შენობის წინ წვიმაში დგომა კარგად მაქვს დაცდილი და იმედია, ეს მოძრაობაც ისეთივე წარმატებით დასრულდება, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მთლად კარგად არ გამოვიდა და ახლაც აქ გვიწევს დგომა.** შემდეგ მან 2007 წლის ნოემბრის მოვლენებზე გაამახვილა ყურადღება. ბურჯანაძემ ხელისუფლების მიერ საზოგადოების მიზანმიმართულ დაყოფაზე ისაუბრა. **დაპირისპირების დანერგვა სურდა ხელისუფლებას 2007 წელსაც, როდესაც საიდუმლოდ გასცეს ბრძანება, რომ რეგიონებიდან ხალხი ავტობუსებით ჩამოეყვანათ, რათა მომიტინგეებს დასხმოდნენ თავს. 7 ნოემბერს მე შევძელი ამის თავიდან აცილება,** - განმარტა ბურჯანაძემ.

ოპოზიციის ლიდერებმა, დაახლოებით, 19:00 საათზე მომიტინგეებს მოუწოდეს, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობისკენ დაძრულიყვნენ. პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერების თქმით, ისინი არც ერთი შენობის აღებას არ აპირებენ. პირველი არხის შენობასთან მისულმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომ **ჩვენ შეჭრას არ ვაპირებთ, ამიტომ ბრძანდებოდნენ შიგნით, რამდენ ხანსაც სურთ. მინდა, ვუთხრა ტელევიზიაში მყოფთ, რომ ვერც თქვენ გამოხვალთ გარეთ და შიგნითაც ვერავინ შევა.** საზოგადოებრივ მაუწყებელთან მისულმა ოპოზიციონერებმა განმარტეს, რომ კოსტავას ქუჩაზეც გაიხსნება ახალი საკნების ქალაქი. გარდა ამისა, საპროტესტო აქციების ორგანიზატორებმა პირველი არხის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად ორი ლიდერი გამოყვეს - გოგა ხაინდრავა და ირაკლი ბათიაშვილი. ალიანსი საქართველოსთვის წევრ ირაკლი ბათიაშვილის თქმით, ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები მიმდინარე მოვლენების მიუკერძოებლად გაშუქების საკითხზე გაიმართება. პირველი არხის შენობასთან მშვიდობიანი მანიფესტანტების მისვლიდან ერთ საათში განცხადება გააკეთეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებმა. ირმა სოხაძემ, მარინა ვეკუამ და გიორგი ანჩაბაძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა დატოვეს.

სამშვიდობო სპეცკარავი ერგნეთში

გუშინ ერგნეთში, ე.წ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, 18 თებერვალს გამართული ჟენევის კონსულტაციების დროს მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლებისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელთა პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სპეციალურ კარავში გამართულ მოლაპარაკებას ესწრებოდნენ ეუთო-სა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიების წევრები და რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. ქართული მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინიტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი, სეპარატისტების მხრიდან კი - ე.წ პრეზიდენტის წარმომადგენელ ბორის ჩოჩიევის მოადგილე მერაბ ჩიგოევი. როგორც ოფიციალური თბილისი ვარაუდობდა, ერგნეთის სპეცკარავში არსებითი პროგრესის მიღწევა ვერ მოხერხდა.

გიორგი ასანიშვილი

ქართული მხარის განცხადებით, გუშინდელი შეხვედრის ფორმატი არ იძლეოდა საშუალებას, რომ მსჯელობა ისეთ პრობლემატურ საკითხებზე გამართულიყო, როგორიცაა, მაგალითად, ოკუპირებული ტერიტორიიდან ქართულ სოფლებზე გახშირებული თავდასხმები და ქართველი პოლიციელების აფეთქებები. ამიტომ, შოთა უტიაშვილმა ერგნეთში მოლაპარაკების დაწყების წინ აღნიშნა, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება არ მოხდებოდა და მხარეები, ძირითადად, იმ პრევენციულ ღონისძიებებზე ისაუბრებდნენ, რომელთა განხორციელებაც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ და ოს მოსახლეობას უსაფრთხოების მეტ გარანტიებს მისცემს.

მართლაც, ერგნეთში გუშინ გამართული ოთხსაათიანი მოლაპარაკების ერთადერთი შედეგი მომავალი შეხვედრის გამართვის შესაღებ მიღწეული შეთანხმებაა. გადაწყდა, რომ მხარეთა წარმომადგენლები მასში ერგნეთში კიდევ ერთხელ გამართავენ მოლაპარაკებებს.

სამწუხაროდ, პრობლემური საკითხების მოგვარებაში პროგრესი ჯერჯერობით არ გვაქვს. ინციდენტების პრევენციის კომისიის ჩამოყალიბების პროცედურულ საკითხებზე ვერ შევთანხმდით. ჩვენი მთავარი მიზანია საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა, თუმცა ამ პრობლემის მოსაგვარებლად თავდაპირველად პროცედურული საკითხების გადაჭრაა საჭირო. დღეს ამ მიმართულებით კონკრეტულ შედეგს ვერ მივაღწიეთ, თუმცა იმედი მაქვს, რომ შეთანხმების მიღწევა მაისში დაგეგმილ შეხვედრაზე მოხერხდება, რომელიც ასევე ერგნეთში გაიმართება, - აცხადებს შინაგან საქმეთა სამინიტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც მიიჩნევს, რომ მსგავს შეხვედრებს სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

თავის მხრივ, ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი ჰანსიორგ ჰაბერი აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის დიალოგის დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია. მისივე აზრით, აუცილებელია, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ცხინვალის რეგიონშიც, სრულად განახორციელოს.

გუშინდელი შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი ეუთო-ს წარმომადგენელმა ასკან ტელმანმაც გააკეთა.

მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს შორის კომუნიკაცია დამყარდა. ეს, ჩემი აზრით, საკმაოდ წარმატებული ნაბიჯია. მით უმეტეს, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეების წარმომადგენლებმა ერთმანეთს მოუსმინეს და რიგი კონკრეტული საკითხების შესახებაც ისაუბრეს. დრო არის საჭირო იმისთვის, რომ ჟენევაში მიღწეული შეთანხმება ამოქმედდეს, - აცხადებს ასკან ტელმანი.

ოსური მხარის წარმომადგენელმა მერაბ ჩიგოევმა კი ერგნეთის შეხვედრა კომენტარის გარეშე დატოვა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

კრემლის წარუმატებლობა

პირველი გვერდიდან

AFP' 2009

რუსულმა მედიამ მოსკოვში სერჟ სარგსიანის ვიზიტი საქართველოში დაგეგმილ წვრთნებს დაუკავშირა

"ამიტომ როდესაც კვლავ ხორციელდება ქართული არმიის გადაიარაღების მცდელობები და საქართველოში ნატო-ს სამხედრო წვრთნები იგეგმება, შეუძლებელია არ გაჩნდეს კითხვა: რის მიღწევას ცდილობენ ალიანსში? შეგახსენებთ: ნატო-ს სამხედრო წვრთნები საქართველოში ბოლოს 2008 წლის ივლისში ჩატარდა - სამხრეთ ოსეთზე თავდასხმამდე რამდენიმე კვირით ადრე," - განაცხადა ლავროვმა.

რუსეთ-ნატო-ს დაძაბული ურთიერთობების შესახებ ბი-ბი-სი"-ს რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმაც ისაუბრა.

"ნატო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას და რუსეთის გავლენის სფეროებს არასდროს აღიარებს, თუმცა ზოგიერთ საკითხზე რუსეთთან დიალოგი გარდაუვალია," - განაცხადა მილიბენდმა. ამასთან, მან მკაფიოდ აღნიშნა, რომ **"საქართველოს ალიანსში გაწევრიანების სურვილი სუვერენული სახელმწიფოს გადაწყვეტილებაა და ნატო მას მხარს დაუჭერს."**

რუსულმა მედიამ მოსკოვში სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის ვიზიტი საქართველოში დაგეგმილ წვრთნებს დაუკავშირა. სომხეთს მანევრებში მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს, რასაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში უკმაყოფილო განცხადებები მოჰყვა.

თუმცა, გუშინდელი შეხვედრის შემდეგ სარგსიანს და დმიტრი მედვედევს ამ საკითხზე საჯაროდ არ უსაუბრიათ. მათი განცხადებით, მოლაპარაკებების თემა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება და სომხეთში რუსული ინვესტიციების დაბანდება იყო.

თუმცა, ამ შეხვედრას წინ უძღოდა სომხეთის პარლამენტის სპიკერ ოვიკ აბრამიანის განცხადება, რომელიც უშუალოდ ნატო-ს წვრთნებს არ უკავშირდებოდა, თუმცა საკმაოდ კრიტიკული იყო სომხეთის საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ჩარევის მიმართ. როგორც სპიკერმა პოლონურ გაზეთ რეჩპოსპოლიტასთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, **სომხეთი უკვე 18 წელია, დამოუკიდებელი ქვეყანაა და საგარეო პოლიტიკაში საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს.** მისი თქმით, ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს ევროპული ინტეგრაცია წარმოადგენს. აბრამიანის განცხადებით, რუსეთი სომხეთის სტრატეგიული პარტნიორია, თუმცა, **არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, სომხეთს უკარნახოს, როგორ მოიქცეს.**

საქართველოში დაგეგმილ წვრთნებს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა რუსეთის ელჩი ნატოში დმიტრი როგოზინი. გაზეთა.რუ -სთვის მიცემულ ინტერვიუში მან აღიარა, რომ წვრთნების ჩაშლას რუსული მხარე ვერ შეძლებს, თუმცა **შევიმუშავებთ ზომებს, რაც რუსეთისა და მისი მოკავშირეების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.**

როგოზინის განცხადებით, ალიანსის გადაწყვეტილება აისახება რუსეთის მზადყოფნაზე, დაეხმაროს ნატო-ს ამა თუ იმ საკითხში, თუმცა, მისი თქმით, ავღანეთში ნატო-ს ტვირთების ტრანზიტის საკითხში რუსეთი ალიანსს ხელს არ შეუშლის, ვინაიდან **ჩვენ საერთო მტერი გვყავს.**

იმავდროულად, როგოზინმა კვლავ დაადასტურა რუსეთის პოზიცია იმის შესახებ, რომ საქართველოში ნატო-ს წვრთნების გამართვა **აგრესორის წახალიხებაა** და მოსკოვის რეაქციას გამართლებული უწოდა.

პრეზიდენტის მზადყოფნა - ოპოზიციასთან თანამშრომლობა

ნათია მსხილაძე

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკური სტაბილურობის შექმნისთვის ბიზნესმენებს და ხელისუფლებას ერთობისკენ მოუწოდებს. სააკაშვილმა ლილოს ტერიტორიაზე არსებულ ინტერპლასის" ქარხანაში გუშინ გამართულ შეხვედრაზე საშინაო და საგარეო ეკონომიკურ მდგომარეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობა ვალდებულია, კერძო სექტორის მუშაობას ხელი შეუწყოს, რისთვისაც სხვადასხვა სექტორში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ხედავს.

ჩვენი მიზანია, ადამიანებმა შეძლონ დასაქმება, ქონდეთ სტაბილური ხელფასები, რისთვისაც საჭიროა კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება. ასევე, ბიზნესმენებსა და ხელისუფლებას შორის უნდა გაიმართოს დიალოგი, რაც უმუშევრობის აღმოფხვრაში დაგვეხმარება, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველ პირს ეკონომიკის სტაბილურობისთვის აუცილებლად მიაჩნია ინფრასტრუქტურის შექმნა, კორუფციასთან აქტიური ბრძოლა და სწორი ეკონომიკური კურსის შემუშავება. **ინვესტიციის მოსაზიდად აუცილებელია უფრო სამართლიანი და ძლიერი სასამართლო, ამიტომ უკვე დაწყებული გვაქვს ახალი რეფორმების გატარება. ხელისუფლებას დაწყებული აქვს სასამართლო რეფორმის ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ტალღა და ეს არ არის უბრალოდ ლამაზი სიტყვები. ეს არის გადასვლა ნაფიც მსაჯულთა სისტემაზე. მსოფლიოს მართლმსაჯულების პრაქტიკაში ეს არის მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების ფორმა. ჩვენ სწორედ ამ სისტემის დანერგვა დავიწყეთ. ეს დიდი ექსპერიმენტი და დიდი გამოწვევაა, თუმცა სასამართლო სისტემის განვითარება ბიზნესისთვის და სტაბილურობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის გარანტი იქნება, რაც ბიზნესის განვითარებასაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს,** - განაცხადა პრეზიდენტმა.

როგორც სააკაშვილმა განმარტა, საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეკონომიკური თვალსაზრისით, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. ამის მაგალითად კი ინტერპლასის" ქარხნის 2-წლიანი მუშაობა მოიყვანა, რომლის წლიური ბრუნვა 30 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო მომუშავეთა რიცხვი - 450 ადამიანს.

საქართველოს რთული ეკონომიკური ქარტეხილი აქვს გასავლელი. დღეს საქართველოში სიღარიბესა და უმუშევრობას ძალიან ბევრი ადამიანი ებრძვის, ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს და მათგან ბევრი გაბრაზებულია. მე ვიზიარებ მათ გასაჭირს და მინდა, გითხრათ, რომ მეც ძალიან გაბრაზებული ვარ. ჩემთვის ყველაზე დიდი საზრუნავია, დასაქმდეს ასობით ათასი ადამიანი. ისინი ჯერჯერობით სამსახურებს ვერ შოულობენ. ჩვენი, ქართული ეკონომიკის უმთავრესი ფუნქცია, ჩვენი მთავრობის ამოცანა და ჩემი, როგორც პრეზიდენტის ყველაზე დიდი მიზანი და სურვილია, მოქალაქეები დასაქმდნენ და მათ შეძლონ როგორც საკუთარი თავის, ასევე ოჯახის სტაბილური ხელფასით უზრუნველყოფა, - აღნიშნა სააკაშვილმა. მან მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ტენდერებისა და პროგრამების მნიშვნელობაზეც ისაუბრა. **პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს მსოფლიო ბანკმა გუშინ ვენაში ჯილდო გადასცა და ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ შეგვიძლია ინვესტიციის მოზიდვა,** - აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ მთავრობა ამჟამად არსებული ეკონომიკური პრობლემების დაძლევას ეტაპობრივად მოახერხებს.

მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე მზადყოფნას კიდევ ერთხელ გამოთქვამს. პრეზიდენტის მტკიცებით, ხელისუფლება როგორც საგარეო, ისე შიდა პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ყველა ნაბიჯს გადადგამს, რადგან განვითარებასა და დასაქმებას ჰაერივით სჭირდება როგორც ერთიანობა, ასევე ყველა პოლიტიკურ ჯგუფს შორის თანამშრომლობა. **ჩვენ ვართ მზად თანამშრომლობისთვის როგორც ყველაზე პატარა პოლიტიკურ ჯგუფთან, ასევე ყველაზე რადიკალურ ძალასთანაც კი, მათთანაც, ვინც ყველაზე მიუღებელი ლოზუნგებით გამოდის. ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად საჭიროა, ყველა პოლიტიკოსმა საკუთარ თავზე მაღლა ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დაყენება შეძლოს,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გორის რაიონის სოფელ ფლავს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან ცეცხლი გაუხსნეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 22 აპრილს, 20:30 საათზე, რუსეთის მიერ ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან რამდენიმე მიმართულებით ცეცხლი გაუხსნეს გორის რაიონის ქართულ სოფელ ფლავს. სროლა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ქართული პოლიციის საგუშაგოს მიმართულებით რამდენიმე წუთის განმავლობაში ხორციელდებოდა. შემთხვევის შედეგად მსხვერპლი და დაშავებულები არ არიან. თავის მხრივ, ცხინვალის დე ფაქტო მთავრობა ქართულ მხარეს ჟენევის კონსულტაციებზე მიღებული "კონფლიქტის ზონებში ინციდენტებზე რეაგირების საერთო მექანიზმის" ფარგლებში პირველი სამუშაო შეხვედრის წინ მიზანმიმართულ პროვოკაციაში ადანაშაულებს. დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილე იბრაგიმ გასიევის მტკიცებით, "23 აპრილს ღამით, მოსკოვის დროით 21:00 საათზე, ქართულმა მხარემ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სოფელ ორტევის დაცხრილვა დაიწყო." "სოფელ ფლავისმანიდან, რომელიც სოფელ ორტევს 1 კმ-ზე ესაზღვრება, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე შესვენებით ისროდნენ. ოსური მხარე პროვოკაციას არ წამოეგო, მსხვერპლი და დაშავებულები არ არიან," - ამტკიცებს გასიევი. პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელ ბორის ჩოჩიევის მტკიცებით კი, "ეს არის პროვოკაცია, რომელიც სპეციალურად კეთდება, რათა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის წინ ოსური მხარისგან საპასუხო ცეცხლი გახსნილიყო." გუშინ სოფელ ერგნეთში ჟენევის კონსულტაციებზე მიღებული "კონფლიქტის ზონებში ინციდენტებზე რეაგირების საერთო მექანიზმის" ფარგლებში პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

პირველი

სოხუმი სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლობის აღიარების იმედს არ კარგავს

სოხუმი სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლობის აღიარების იმედს არ კარგავს. აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, "აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, უახლოეს პერსპექტივაში შესაძლოა, კიდევ რამდენიმე იმ ქვეყანამ აღიაროს, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან." "ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთს, ცოტა ხნის წინ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრობდნენ, ამიტომ ჩვენ მუშაობა უნდა გავაგრძელოთ, რათა ორიენტაცია სხვა ქვეყნებსაც შევაცვლევინოთ," - განაცხადა შამბამ. მისივე თქმით, "ევროპული სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხის აღიარების განხილვა ობიექტურად ათი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი".

პირველი

"თუ აქციის მონაწილეებს ადმინისტრაციულ შენობებში შეღწევის მცდელობა ექნებათ, ძალა იქნება გამოყენებული"

ვიცე პრემიერ-მინისტრ გიორგი ბარამიძის განცხადებით, "საქართველოს ხელისუფლება მიტინგის მონაწილეების მიერ ადმინისტრაციული შენობების შტურმს არ დაუშვებს." "საქართველო ნორმალური, დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლებს მშვიდობიანი აქციებისა და მიტინგების ჩატარების უფლება აქვთ, მაგრამ ხელისუფლება დემონსტრანტების მიერ ადმინისტრაციული შენობების შტურმს არ დაუშვებს. ჯერჯერობით აქციები მშვიდობიანია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ აქციის მონაწილეებს ადმინისტრაციულ შენობებში შეღწევის მცდელობა ექნებათ, ძალა იქნება გამოყენებული," - განაცხადა ბარამიძემ. მისივე თქმით, "სახელმწიფო დაწესებულებების შტურმის აღკვეთისთვის მობილიზებულია შესაბამისი ძალები, რომლებიც დემონსტრანტებს წინააღმდეგობას შიგნიდან გაუწევენ."

პირველი

ახალგორის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ოსებმა ეთნიკურად ქართველი წარადგინეს

ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა სეპარატისტების მიერ დანიშნული ე.წ. საპარლამენტო არჩევნებისთვის ახალგორის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის ორი კანდიდატი - პაკო ბარათაშვილი და ვლადიმერ გაბარაევი შეარჩია. გავრცელებული ინფორმაციით, სეპარატისტები დიდხანს ცდილობდნენ, რომელიმე ადგილობრივი ქართველი არჩევნებში მონაწილეობაზე დაეთანხმებინათ. მას შემდეგ, რაც შეთავაზებაზე არც ერთი ახალგორელი ქართველი არ დათანხმდა, მათ ვინმე პაკო ბარათაშვილი მოძებნეს და კანდიდატად წარადგინეს. ბარათაშვილი ცხინვალელია. 90-იანი წლების ომის შემდეგ მას ცხინვალი არ დაუტოვებია.

პირველი

კახელების ადმა ხნული, ქართლელებმა დადმა ფარცხეს"

პირველი გვერდიდან

რუსეთი

მთავარია, რა თქმა უნდა, რუსეთი და მისი როლი საქართველოში მიმდინარე პროცესებში, როგორც 90-იან წლებში, ასევე დღეს. რუსეთის გეოპოლიტიკურმა ინტერესმა კავკასიაში განაპირობა კრემლის უკიდურესი დაპირისპირება როგორც ზვიად გამსახურდიასთან, ისე მიხეილ სააკაშვილთან. რუსეთის აგრესიული პოლიტიკა უცვლელი რჩება საქართველოს ნებისმიერი პრეზიდენტის მიმართ, თუკი რუსეთი საქართველოზე კონტროლის დაკარგვის რეალურ საფრთხეს იგრძნობს. ეს არის ფაქტის კონსტატირება, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ზედაპირზე ძევს.

ოპოზიციისა და ზოგიერთი პოლიტოლოგის მიერ მრავალგზის გამოთქმული აზრი, რომ რუსეთთან უნდა გამოიძებნოს საერთო ენა და უნდა შედგეს დიალოგი, ბუნებრივია, ბადებს კითხვას: რა არის ის კომპრომისი, რომელზეც საქართველო თავისი ნებით უნდა წავიდეს, რა უნდა დავთმოთ, რომ რუსეთმა ჩვენთან დიალოგი შესაძლებლად ჩათვალოს? ამ კითხვაზე პასუხი არავის გაუცია. უფრო სწორად, პასუხი აქვთ, მაგრამ ვერ ახმოვანებენ, რადგან კომპრომისი გულისხმობს საქართველოს დაბრუნებას რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში. თავს ნუ მოვიტყუებთ - ეს არის რუსეთთან დიალოგის" ერთადერთი გზა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა შეცვლის რუსეთის ზრახვებს საქართველოს მიმართ, მწარედ ცდება. რუსეთის მიზანია, სრული კონტროლი საქართველოს პორტებზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზაზე, რომელიც საქართველოზე გადის, ანუ კონტროლი მთლიანად მთელს დასავლეთ საქართველოზე. ვიმეორებ, ნებისმიერი პრეზიდენტი, რომელიც რუსეთის ამ ინტერესს წინ აღუდგება, კრემლის რისხვას დაიმსახურებს. რუსეთთან დიალოგის" ერთადერთი გზა არის რუსეთზე ზემოქმედება დასავლეთის მეშვეობით. რთული გზა, შრომატევადი და ხანგრძლივი, მაგრამ უალტერნატივო. ეს არის ქართული დიპლომატიის მთავარი ამოცანა, რომელსაც იგი საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს.

საქართველოს დაბრუნებას რუსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში, ანუ სრულ კონტროლს მასზე, რუსეთი ცდილობს როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური გზით.

1993 წლის სექტემბერში რუსეთმა მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია ე.წ. სამშვიდობო ჯარების" შემოყვანით, რის შედეგადაც საქართველოს ამ ორმა რეგიონმა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მიიღო: საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა ამ რეგიონში, ტარდებოდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები და ა.შ.

ეს იყო რეალობა, რომლის წინაშე საქართველოს ხელისუფლება 17 წლის განმავლობაში იდგა.

7 ნოემბრის აქციების შედეგად გაზაფხულზე ჩატარებულმა ვადამდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა რუსეთს აგვისტოში საქართველოსთან ომის დაწყების იდეალური მომენტის შერჩევის საშუალება მისცა. საეჭვოა, რუსეთს ომი დაეწყო საქართველოსთან საპრეზიდენტო არჩევნებამდე, იმდენად იყო იგი დარწმუნებული მიხეილ სააკაშვილის წარუმატებლობაში არჩევნების დროს. რუსეთი ეყრდნობოდა ქართული ოპოზიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი დაბალია. იმდროინდელ რუსულ პრესასა და რუსულ საიტებზე გავრცელებულ მასალას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ რუსეთს არ ეპარებოდა ეჭვი მიხეილ სააკაშვილის დამარცხებაში ოპოზიციის მიერ. მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებამ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც დაადასტურა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, გადაწყვიტა რუსეთის ომის დაწყება აგვისტოში, რადგან იგი საქართველოში ხელისუფლების შეცვლის სხვა საშუალებას ველარ ხედავდა. აგვისტო იყო ის ერთადერთი მომენტი, როცა ამერიკაში წინასაარჩევნო კამპანიით შექმნილი პოლიტიკური ვაკუუმი რუსეთს სამხედრო მოქმედების საშუალებას აძლევდა. უეჭველია, რომ ამერიკაში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, რომელმაც საგრძნობლად შეცვალა პოლიტიკური ამინდი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რუსეთს საქათველოში სამხედრო ინტერვენციის საშუალება აღარ მიეცემოდა. ამას დავუმატოთ აგრეთვე სექტემბრიდან დაწყებული ეკონომიკური კრიზისი.

7 ნოემბრის აქციამ, რომლითაც ეგზომ ამაყობს ოპოზიცია, მართალია, რუსთაველის გამზირზე ვიტრინები არ დაამსხვრია, მაგრამ ხელი გაუხსნა რუსეთს, აგვისტოში ომი დაეწყო საქართველოსთან. ასე რომ, კარგად დავუკვირდეთ, ვის უნდა ვუმადლოდეთ აგვისტოს ომის მძიმე შედეგებს.

ზემოთ ვახსენე დიპლომატიური გზა, რომლითაც რუსეთი აგრეთვე ცდილობს საქართველოზე კონტროლის აღდგენას, რაც გამოიხატა რუსული ლობის მაქსიმალურ გააქტიურებაში როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ისე საქართველოში. რუსეთს საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავს დასავლეთში, რომელიც ახდენს რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ლობირებას პრესაში, ტელევიზიაში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმ დიდი საჩუქრისა, რომელიც მიიღო დასავლეთში მომუშავე ლობიმ, ქართული რადიკალური ოპოზიციის სახით, საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ წარმოებულმა პროპაგანდამ დიდ შედეგს ვერ მიაღწია. რუსეთის ლობის გარკვეული წარუმატებლობა განაპირობა რუსეთის დაუფარავად აგრესიულმა და ანტიდასავლურმა პოლიტიკამ, ამერიკის ძველი და ახალი ადმინისტრაციის მხარდაჭერამ საქართველოს ხელისუფლების მიმართ და ქართული რადიკალური ოპოზიციის თვალშისაცემმა პოლიტიკურმა სისუსტემ.

რადიკალური ოპოზიცია

ტელეკომპანია კავკასიის" ერთ-ერთ გადაცემაში ბატონმა სოსო ცისკარიშვილმა დასვა კითხვა: - ვინ არის ის ძალა, რომელიც დაიწყებს სამოქალაქო ომს საქართველოში?". ამ კითხვას ვუპასუხებდი, რომ სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროებას საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ქმნის ოპოზიციის პოლიტიკური ექსტრემიზმი. მაგალითად, როდესაც ქალბატონი ზურაბიშვილი ტრიბუნიდან მღერის" - დიალოგი ეშმაკისეულია" - სამოქალაქო დაპირისპირებამდე ერთი ნაბიჯი რჩება. ნუ გვავიწყდება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, პრეზიდენტის მხარდამჭერთა რიცხვი საკმაოდ სოლიდურია. როდესაც პრეზიდენტის გადადგომის ლოზუნგი ქუჩიდან მოდის და არ ზის კონსტიტუციის ჩარჩოებში, მაშინ ეს მოთხოვნა ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების რეალურ საფრთხეს ქმნის, მით უფრო, როდესაც ამ მოთხოვნის უკან რუსეთია. ამ სტრიქონებს დავწერდი იმ შემთხვევაშიც კი, საქართველოს პრეზიდენტი რომ იყოს კუკავა, პრემიერი კი ბესელია. დამეთანხმებით, საკმაოდ აპოკალიფსური სურათია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ჩვენ კანონის უზენაესობა უნდა გვეღიარებინა.

როგორი იყო 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალების მარტივი გეგმა? მოსკოვში შეიქმნა იქ მცხოვრებ ქართველთა ჯგუფი, შემდგარი ძირითადად ყოფილი პარტიული ბოსებისაგან, რომელიც ხელმძღვანელობდა და აფინანსებდა 90-იანი წლების რადიკალურ ოპოზიციას. ეს ფაქტი ცნობილი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის, რადგან 91 წლის გადატრიალების შემდეგ თბილისში ჩამოსულმა შევარდნაძემ თავად აღიარა, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერები მასთან ჩადიოდნენ მოსკოვში კონსულტაციების მისაღებად. ამ კონსულტაციების შედეგად ზვიად გამსახურდია ცხადდებოდა კრემლის აგენტად". გახსოვთ, ალბათ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლოზუნგი გამსახურდიას და შევარდნაძის ალიანსი". ამ კონსულტაციის შედეგად სინკარებით იხერგებოდა თბილისის ქუჩები, კიტოვანის გვარდია თბილისის ზღვაზე ბანაკდებოდა, მხედრიონი" კი შავნაბადაზე.

ქვეყანა ნელ-ნელა იძირებოდა სრულ ქაოსსა და მარაზმში...

არის კიდევ ერთი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ასევე 90-იან წლებთან გვაკავშირებს.

დღეს საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტოლოგები ხელისუფლებას და ოპოზიციას ორივე მხარედ" მოიხსენიებს. მრავალგზის აღინიშნა, რომ არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არ აქვს უფლება, ძალა გამოიყენოს, როგორც ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ასევე ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად". საკითხის ამგვარი დაყენება არ მიმაჩნია კორექტულად სამართლებრივი თვალსაზრისით და ვშიშობ, რომ იგი დღესაც და მომავალშიც სერიოზული და, შესაძლოა, გადაულახავი პრობლემის წინაშე დაგვაყენებს.

როდესაც კიტოვანი თავისი შეიარაღებული გვარდიით თბილისის ზღვაზე დაბანაკდა, საქართველოს პრეზიდენტის უფლებაც და მოვალეობაც იყო, ეს უკანონო შეიარაღებული ფორმირება ალყაში მოექცია და განეიარაღებინა. ეს ასე არ მოხდა და დღესაც გაისმის საყვედური ზვიად გამსახურდიას მიმართ, რომ მან თავისი კონსტიტუციური უფლება არ გამოიყენა და ქვეყანა ხიფათის წინაშე დააყენა. არ ვიცი, იცის თუ არა ჩვენმა საზოგადოებამ, თუ რა ვითარება სუფევდა მაშინ თბილისის ზღვაზე და რატომ ვერ შეძლო ზვიად გამსახურდიამ კიტოვანის გვარდიელების განიარაღება. თბილისის ზღვაზე იმ დროს დიდი სტუმრიანობა იყო. ცნობადი სახეები", რომელთაგან ზოგიერთი დღეს უცნობის" საკანს სტუმრობს, სადილებით და ყავის თერმოსებით დატვირთულნი, ადიოდნენ თბილისის ზღვაზე გვარდიელების გასამხნევებლად, ხოლო კიტოვანი, რომლის გამოჩენამ რუსთავი 2 -ის პოზიციაში" რადიკალური ოპოზიციის ზიზღნარევი აღშფოთება გამოიწვია - ეს რა გვაკადრეთო", სწორედ ეს კიტოვანი ჩვენმა იმდროინდელმა ელიტამ გმირად შერაცხა და სანთელსაც უნთებდნენ მას ეკლესიაში ეკზალტირებული მანდილოსნები. სწორედ მაშინ ეწოდა ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას - ორი მხარე". რა შედეგიც მივიღეთ, ვიცით.

მართალია, რომ საბედნიეროდ დღევანდელი რეალობა სხვაგვარია. იმედია, რადიკალური ოპოზიცია შეიარაღებული არ არის და მისი განიარაღების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მაგრამ მათი პოლიტიკური ექსტრემიზმი, მაგალითად, პარლამენტის შენობის პიკეტირება, სცილდება მშვიდობიანი საპროტესტო აქციის კონსტიტუციურ ნორმას და ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობას ქმნის.

დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლებას და ოპოზიციას ორ მხარედ" არავინ მოიხსენიებს. არსებობს ხელისუფლებისა და ოპოზიციის ცნება. ორი მხარე სპორტულ შეჯიბრშია ან უბნის ბიჭების ჩხუბში. ვშიშობ, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარეებად წარმოდგენა და მათი უფლებების გათანაბრება, რაც გამომდინარეობს ზემოთ მოტანილი განცხადებებიდან, ქვეყანას პერმანენტული სახელმწიფო გადატრიალების საშიშროების წინაშე დააყენებს, რადგან ოპოზიციის რადიკალიზმი საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა.

მე ვეთანხმები გია ნოდიას, როდესაც მან თავის სტატიაში ქართულ პოლიტიკურ რადიკალიზმზე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ არ ვეთანხმები, რომ ამ რადიკალიზმის სათავე 90-იან წლებში უნდა ვეძიოთ. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ ქართველნი თავისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა". ამ უკვე ტრადიციად ქცეულმა რადიკალიზმმა დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე და თუ ამ უგუნურ რადიკალიზმს კანონის ძალას არ დავუპირისპირებთ, ჩვენი გზა უცნობის" საკანთან თუ მიგვიყვანს, უფრო შორს ვერ წავალთ.

შესაძლოა, მკითხველმა იფიქროს, რომ ჩვენი ხალხის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ უსაფუძვლოდ მიმაჩნია. რა თქმა უნდა, არა. ის უცილობელი ფაქტი, რომ სამოთხე არსად არის ჩვენს პლანეტაზე, რომ უმუშევრობა და სიღარიბე მდიდარ ქვეყნებშიც მრავლად არის, ცალკეული პიროვნებისთვის არ არის ნუგეში. მას თავისი სატკივარი აწუხებს, ბევრ უსამართლობას და გაჭირვებას ხედავს შინ და გარეთ. საკუთარი უმწეობის განცდამ ამ რთული პრობლემის წინაშე გამოიყვანა ხალხი ქუჩაში. მაგრამ, აცნობიერებს კი ხალხის ეს მასა, რომ რადიკალური ოპოზიცია მას იყენებს, როგორც იარაღს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების მისაღწევად? ოპოზიციის ის ნაწილი, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, ქვეყნის სატკივარი საკუთარზე მნიშვნელოვანია, წარმატებით თანამშრომლობს ხელისუფლებასთან საპარლამენტო ოპოზიციის სახით. მივესალმები მათ გამბედაობას და მოქალაქეობრივ პოზიციას. ეს არის ევროპული ტიპის კლასიკური ოპოზიციის მაგალითი.

რადიკალური ოპოზიცია, რომელმაც ოთხი წლის მანძილზე ვერ შეძლო რაიმე მეტ-ნაკლებად სერიოზული ალტერნატიული პროგრამის შემუშავება, ვერც საგარეო და ვერც ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში, ქვეყანას პოზიტიურ შედეგს ვერ მოუტანს. რადიკალური ოპოზიცია, რომელიც ასე ხისტად და შეუპოვრად უპირისპირდება საქართველოს სახელმწიფო ინტერესს საკუთარი წვრილმანი ეგოისტური მიზნების მისაღწევად, ვერ მართავს ქვეყანას ვერც დღეს, ვერც ხვალ და ვერც ზეგ. რადიკალური ოპოზიცია, რომელმაც დასვა კითხვა: ვინ დაიწყო აგვისტოს ომი და ამ ომის დაწყებაში საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი დაადანაშაულა, ვერასოდეს გახდება ქვეყნის ინტერესების ერთგული პოლიტიკური ძალა. მიჭირს, დავასახელო ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ქვეყნის ღალატის ანალოგიური მაგალითი.

ვიმედოვნებ, რომ იმ ვადაში, რომელიც პრეზიდენტს რჩება თავისი მანდატის დამთავრებამდე, საქართველოში შეიქმნება ახალი პოლიტიკური სპექტრი - პროფესიული, გონიერი, ქვეყნის ერთგული.

„ვინც ხელისუფლებაში გეგმის გარეშე მოვა, ის ხელისუფლებას დაკარგავს თვეების განმავლობაში"

ინტერვიუ ზურაბ ნოღაიდელთან

თამარ ხორბალაძე

9 აპრილს დაწყებულ აქციებს ზურაბ ნოღაიდელის "მოძრაობა სამართლიანობისთვის" უკვე 10 აპრილს გამოეთიშა. მას შემდეგ მოძრაობა "საკუთარი გეგმით" მოქმედებს. რატომ აირჩია ოპოზიციის უმრავლესობისგან განსხვავებული გზა ექს-პრემიერმა და როგორ აფასებს საკუთარ გადაწყვეტილებას დღევანდელი გადასახედიდან? ამ კითხვებით "24 საათმა" ზურაბ ნოღაიდელს მიმართა.

ხაჭრა ჭოხელიძის ფოტო

- თქვენმა მოძრაობამ 9 აპრილს ბათუმში მოაწყო საპროტესტო მიტინგი. 10 აპრილს უკვე თბილისში პარლამენტთან გელოდებოდნენ. თუმცა ამ დღეს თქვენ პარლამენტთან არ მისულხართ. რა შეიცვალა 10-ში?

- უშუალოდ 10-ში არაფერი შეცვლილა. ჩვენი მხარდამჭერები 9-ში იყვნენ პარლამენტთან და 10-ში, თუმცა ჩვენ ჩვენი არჩევანი თავიდანვე გავაკეთეთ. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ 9 და 10 აპრილი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს პოლიტიკაში. აქ შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა ადამიანმა საქართველოს პრეზიდენტსაც, საერთაშორისო საზოგადოებასაც და იმ ხალხსაც, ვინც ამ მიტინგზე არ მისულა, დაანახა, რომ სააკაშვილი ამ ქვეყნის პრეზიდენტი ვეღარ იქნება. მან უნდა იფიქროს ხელისუფლების გადაბარებაზე და რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავია. შეიძლება, იქ შეკრებილ ხალხს მკაფიოდ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, თუ ვინ უნდა იყოს სააკაშვილის შემცვლელი, ეს ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. მე კარგად ვხედავდი და ახლაც ვხედავ, რომ ჯერჯერობით ქართულ საზოგადოებაში ხელისუფლების ცვლილებისთვის საკმარისი მუხტი არ არის. პროცესი დაიწყო, მაგრამ პროცესის დასრულებას დრო სჭირდება. ჩვენი შეფასებები იმით განსხვავდებოდა ბევრისგან, რომ ბევრის აზრით, ამ მოვლენების შედეგად სააკაშვილი წავა. ჩვენ კი მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის წასვლისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი ეტაპია, რომელიც უნდა გაგრძელდეს. ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს და მას მივყვებით.

- თქვენი ამ გეგმისა და ამ არჩევანის გამო დღეს თავს პოლიტიკური პროცესების მიღმა არ გრძნობთ? თქვენ არც აქციებში მონაწილეობთ, არც ხელისუფლებასთან დიალოგში, ცხადია, ვერც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ახდენთ გავლენას.

- მე ამას ნამდვილად არ ვგრძნობ. ცხადია, სააკაშვილი, პირველ რიგში, დიალოგის გამართვას იმ ხალხთან ცდილობს, რომელიც ქუჩაში დგას და ეს ბუნებრივიცაა. ჩვენ რომც გვქონდეს რამე სალაპარაკო, ამ სიტუაციაში არ დაველაპარაკებოდით ხელისუფლებას. როცა 20 პარტიის მხარდამჭერი ხალხი დგას ქუჩაში, ეს ნამდვილად უხერხული და არასწორი იქნებოდა. სააკაშვილი, პირველ რიგში, რადიკალურად განწყობილ პოლიტიკურ პარტიებს და ხალხს უნდა დაელაპარაკოს. შედგება თუ არა საერთოდ ეს დიალოგი, ამაზე პასუხი დღეს არ გვაქვს, თუმცა ეს არ ცვლის ამ პროცესების ჩვენეულ შეფასებას.

- როგორია ეს შეფასება?

- ჩვენ არ ვართ ამ მოვლენების მონაწილეები, ეს ფაქტია. ჩვენ მოვლენების შედეგებს მათი დასრულების შემდეგ შევაჯამებთ. შემდეგ დადგება შეფასების დრო, რამდენად სწორი იყო ჩვენი გადაწყვეტილება და ჩვენ მიერ არჩეული გეგმა.

- როგორია თქვენი მოქმედების გეგმა?

- ჩვენ გუშინ შეხვედრა გვქონდა ისანში და ისნის ორგანიზაციას ვაფუძნებთ, მომავალ კვირაში - ჩუღურეთის ორგანიზაციას. მაისში თბილისის ყველა რაიონში დავაფუძნებთ ორგანიზაციას, ასევე რუსთავში და რაჭაში და გავაძლიერებთ რეგიონულ ორგანიზაციებს. უკვე საკმაოდ მყარად მოვიკიდეთ ფეხი გურიაში, აჭარაში, მცხეთა-მთიანეთში და იმერეთში. ჩვენ ვემზადებით არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, როცა ეს არჩევნები იქნება, არამედ არჩევნებში გასამარჯვებლად. არჩევნებში გამარჯვებას სჭირდება, მინიმუმ, 20-25 ათასკაციანი ინფრასტრუქტურა და არა მხოლოდ 1000 ან 2000 მხარდამჭერი. ჩვენ სწორედ ამისთვის ვემზადებით და ამისთვის ვაშენებთ ინფრასტრუქტურას.

- როდისთვის იქნებით მზად? დავუშვათ, უახლოეს პერიოდში დაინიშნა არჩევნები, რამდენად რეალურია რომ მიიღოთ არჩევნებში მონაწილეობა და, მით უმეტეს, გაიმარჯვოთ?

- როცა დაინიშნება, ამაზე მერე ვისაუბროთ. მე არ მინდა ახლა ჰიპოთეტურ მოსაზრებებზე და იმაზე საუბარი, რაც არ ხდება. ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი გეგმის მიხედვით და ამ გეგმით ყოველ მეორე დღეს უფრო მზად ვიქნებით, ვიდრე წინა დღეს, მაგრამ რეალური მზადყოფნა მაშინ იქნება, როცა 20-25 ათასკაციანი ინფრასტრუქტურა გვექნება, აგებული აქტივისტების პრინციპზე. ჩვენ ოპოზიციაში დიდხანს გაჩერებას არ ვაპირებთ. თუმცა მანამდე აქციებიც გვაქვს დაგეგმილი - 2 მაისს გლდანში, ჩვენი ოფისის ტერიტორიაზე გვექნება მიტინგი, 6 მაისს - ბათუმში, 26 მაისს - ოზურგეთში, შემდეგ, ივნისის დასაწყისში, აქციას ისევ თბილისში, სავარაუდოდ, ისნის რაიონში ჩავატარებთ. ეს არის ჩვენი გეგმა. თქვენ ამ გეგმებში ხედავთ, რომ მე არ მჯერა და ეს დასამალი არც არის, რომ ამ მოვლენების დასრულება უახლოესი დღეების განმავლობაში შეიძლება. 9 აპრილი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, მაგრამ - არა ბოლო და ჩვენ ბრძოლისთვის მზად ვართ.

- რას სთავაზობთ საზოგადოებას, რატომ ფიქრობთ, რომ საზოგადოება თქვენზე შეაჩერებს არჩევანს?

- ამომრჩეველი, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების ცვლილებაზე გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მიიღებს, თუ რა შეიცვლება მისთვის ამ ცვლილებით. მოდელი - ვუთხრათ ხალხს, რომ მთავარია სააკაშვილის შეცვლა და მერე გეტყვით, რა შეიცვლება თქვენთვის - არ არის სწორი. ამ მოდელით ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივაღწევთ საზოგადოების ფართო მხარდაჭერას. ჩვენ ვაპირებთ, ავუხსნათ ჩვენს მოქალაქეებს, რა შეიცვლება მათთვის ჩვენი მოსვლის შემთხვევაში. ვთქვათ, რითი განსხვავდება, პირობითად, ჩვენი საგარეო პოლიტიკა იმ საგარეო პოლიტიკისგან, რასაც სააკაშვილი ატარებს, რითი განსხვავდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გეგმა სააკაშვილის ხედვისგან, როგორია ჩვენი ეკონომიკური გეგმები და რითი განსხვავდება ის დღევანდელი ხელისუფლების ეკონომიკური გეგმებისგან, როგორია ქვეყნის მოწყობის ჩვენი ხედვა და რითი განსხვავდება დღევანდელი მოწყობისგან. ჩვენმა თანამოქალაქემ უნდა იცოდეს, რა იქნება სააკაშვილის რეჟიმის ცვლილების შემთხვევაში.

- ოპოზიციასთან კონსულტაციები გაქვთ?

- დღეს არა... გარკვეული კონსულტაციები გვაქვს, მაგრამ არააქტიური.

- თქვენ სახელმწიფო მოწყობა ახსენეთ. თქვენი მოძრაობა საპარლამენტო მმართველობის შემოღების მომხრეა. ხელისუფლებამაც გამოხატა ამ საკითხზე მსჯელობისთვის მზადყოფნა. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლება ამ ფორმით შეინარჩუნოს? საერთოდ, თქვენი აზრით, თუ არჩევნები დაინიშნა, მიეცემა თუ არა ნაციონალურ მოძრაობას მასში მონაწილეობის უფლება?

- ჩემი აზრით, რაც უფრო მალე წავლენ ამ ეტაპზე ხელისუფლებიდან სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა , მით უფრო მეტი შანსი ექნებათ, შეინარჩუნონ პოლიტიკური მომავალი. მე ამაში დარწმუნებული ვარ. მათ ადგილას მეც და ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწეც სექტემბერშივე დაიწყებდა ხელისუფლების გადაბარების პროცესს, სახელმწიფო კურსის მნიშვნელოვანი ელემენტების შენარჩუნებით.

- გადაბარების პროცესში რას გულისხმობთ? რა გზით?

- არჩევნების გზით, რა თქმა უნდა.

- საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების?

- ორივესი. ომის წამგები ვერც ერთი ხელისუფლება ხელისუფლებას ვერ ინარჩუნებს. ხელისუფლებაში ყოფნა შეიძლება გაიხანგრძლივო, რასაც სააკაშვილი დღემდე ახერხებს, მაგრამ ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებ. ახლა, წაგებული ომისა და დანგრეული ქვეყნის პირობებში რაც უფრო დიდხანს იქნებიან სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში, მით უფრო ნაკლები პოლიტიკური მომავალი ექნებათ მათ, ეს არის აქსიომა. დასავლეთში პარტიები ხელისუფლებიდან სწორ დროს იმიტომ მიდიან, რომ მომავალში მობრუნდნენ. სწორი დროის შერჩევა მნიშვნელოვანია. მე არ ვიცი, რამდენად შეიძლება იქცეს საპარლამენტო მმართველობის შემოღება სააკაშვილისთვის ხელისუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტი, მაგრამ ეს შეუძლებელია.

- საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული, დასავლური სტანდარტებისა და გამოცდილებისგან საკმაოდ შორს მდგარი ფორმა აქვს - ხელისუფლება, როგორც წესი, მიდის არა არჩევნების გზით, მის წევრებს ართმევენ არა მხოლოდ ქონებას, არამედ საჯარო სამსახურში მუშაობის, საჯარო გამოსვლების, აზრის გამოთქმის პერსპექტივას, მედიას. მოდის ახალი ხელისუფლება, რომელსაც ამ ყველაფრის მონოპოლიზების ცდუნება აქვს. რაღაც ეტაპზე კი უკვე მისი შეცვლის მოთხოვნილება ჩნდება. რამდენად არსებობს შანსი, რომ დღეს იგივე სცენარი არ განმეორდეს?

- შანსი იმისა, რომ ეს სცენარი არ განმეორდეს, ისეთივეა, როგორც მისი განმეორების შანსი. მე დღევანდელი ხელისუფლების გარემოცვისგან ვერ ვხედავ ამ სცენარის შეცვლისთვის მზადყოფნას.

- ოპოზიციისგან ხედავთ?

- ოპოზიციის ხელში არ არის დღეს ინიციატივა. დღეს ამ ტრადიციის შეცვლა მთლიანად სააკაშვილის ხელშია. ოპოზიციიდან ხელისუფლებაში რომელიმე ძალა რომ მოვა, ყველა ხომ ვერ მოვა, მაშინ გამოჩნდება, როგორია მათი არჩევანი. სხვათა შორის, წასვლის დროის სწორად შერჩევა სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. ჩვენ ასეთი ტრადიცია შეგვექმნა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციური პარტიები ებრძოდნენ მთავრობებს, არამედ იმიტომ, რომ მთავრობებმა ვერაფრით შეძლეს, შეერჩიათ წასვლის დრო, ბოლომდე ებღაუჭებოდნენ ხელისუფლებას და, საბოლოო ჯამში, ყველა მათგანი გააგდეს. თუ სააკაშვილის ხელისუფლებას გააგდებენ, რისი ალბათობაც მაღალია, შესაბამისად სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას აღარანაირი პოლიტიკური მომავალი არ ექნებათ ქონების, საჯარო სამსახურში მონაწილეობისა და სხვა პრივილეგიების ჩათვლით.

- რა ფორმით შეიძლება მოხდეს "გაგდება"?

- ჯერ არ ვიცი, რა ფორმით, თუმცა ამის ალბათობა დღეს საკმაოდ მაღალია.

- პროცესების განმუხტვის საფუძველი რა შეიძლება გახდეს?

- პროცესები განიმუხტება ხელისუფლების ცვლილებით. სანამ ხელისუფლება არ შეიცვლება, შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები დაძაბულობა, შეიძლება ქუჩაში იყოს მეტი ან ნაკლები ხალხი, ოპოზიცია შეიძლება იყოს მეტად ეფექტური ან ნაკლებად ეფექტური, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სიტუაცია განიმუხტება მხოლოდ ხელისუფლების ცვლილებით.

- ოპოზიცია დღეს ხელისუფლების ხელში ასაღებად, ქვეყანაზე პასუხისმგებლობისთვის მზად არის?

- მე სხვაზე ვერაფერს გეტყვით, ბუნებრივია. ჩვენ ამისთვის პრაქტიკულად ახლაც მზად ვართ და სულ მალ კიდევ უფრო მეტად ვიქნებით. სხვებზე ვერ ვილაპარაკებ, თქვენ თვითონ გააკეთეთ დასკვნა, რა უნდა გააკეთონ სხვებმა. ჩემთვის, არა მხოლოდ როგორც პოლიტიკოსისთვის, არამედ როგორც მოქალაქისთვისაც, მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებმა მითხრან, რას გააკეთებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ჯერჯერობით ასეთი რამ არ მოგვისმენია. ხალხს, რომელსაც პოლიტიკოსებაზე და პოლიტიკურ ლიდერობაზე პრეტენზია აქვს, უნდა ესმოდეს, რომ ამის გარეშე ხელისუფლებაში მოსვლა შეუძლებელია, მით უმეტეს, შეუძლებელია ხელისუფლების შენარჩუნება. ვინც ხელისუფლებაში გეგმის გარეშე მოვა, ის ხელისუფლებას თვეების განმავლობაში დაკარგავს.

საერთო სასამართლოები სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბაზით ისარგებლებენ

საერთო სასამართლოებს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო ელექტრონული ბაზით ონლაინ რეჟიმში სარგებლობის საშუალება მიეცათ.

ელექტრონული მმართველობის ამ კონკრეტული პროექტის პრეზენტაცია თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს 11 საათზე გაიმართება.

სასამართლოს უფლებამოსილ თანამშრომლებს საშუალება მიეცათ, მოქალაქის პირადი მონაცემები სამოქალაქო რეესტრის ბაზაში ინტერნეტის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში გადაამოწმონ. მოქალაქის იდენტიფიკაციის ეს საშუალება, იოლთან ერთად, უფრო საიმედო და სწრაფია.

ელექტრონული მმართველობის სისტემაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზით სხვადასხვა უწყება, მათ შორის, საჯარო რეესტრის სააგენტო და ნოტარიუსები უკვე სარგებლობენ.

შს სამინისტრო კომენტარს არ აკეთებს

"შინაგან საქმეთა სამინისტრო "კონსერვატორების" ნაბოდვარზე" კომენტარს არ აკეთებს," - ასეთი კომენტარი გააკეთა თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსმა გიორგი გეგეჭკორმა.

"კონსერვატიული პარტიის" მტკიცებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ორი წევრი ცემეს, ოპოზიციის მიერ დაქირავებული ნაგვის მანქანა და მისი მძღოლი კი გაიტაცეს.

როგორც "კონსერვატორმა" ბიძინა გუჯაბიძემ განაცხადა, დაქირავებული მძღოლის მობილური ტელეფონი გამორთულია, რის გამოც უცნობია, რა ბედი ეწია მას.

პირველი

9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის წევრს სცემეს

9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის განცხადებით, გუშინწინ საღამოს მათი წევრს მელორ ვაჩნაძეს უცნობი პირები თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს.

ამჟამად ვაჩნაძე გამოკვლევების ჩასატარებლად რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მანამდე კი, ის საზოგადოებრივი დამცველის ოფისში იმყოფებოდა.

როგორც დაზრალებულმა განაცხადა, იგი ავტომანქანით მარჯანიშვილის ქუჩაზე იმყოფებოდა, როდესაც უცნობი პირები თავს დაესხნენ და "ოპელ-ვექტრას" მარკის ავტომანქანაში გადასვეს. ვაჩნაძის თქმით, თავდამსხმელებმა ტოვსტონოგოვის ქუჩაზე წაიყვანეს და სცემეს. თავდამსხმელები ავტომანქანაში მის ჩაკეტვას ცდილობდნენ, მაგრამ მან ავტომანქანიდან გაქცევა მოახერხა

როგორც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების წარმომადგენლები აცხადებენ, მელორ ვაჩნაძეს აქვს მხარის ტრავმა, ასევე აღენიშნება რამდენიმე ნაკაწრი კისრის არეში. მელორ ვაჩნაძემ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს "საზოგადოებრივი დამცველის" ოფისში ჩვენება უკვე მისცა.

მედიანიუსი

ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის ბრალდება

ირაკლი ოქრუაშვილის პარტია ხელისუფლებას მისი მომხრეებისადმი პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებს.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის" პრესამსახურის ინფორმაციით, ხელისუფლება აგრძელებს მუქარასა და ფიზიკურ ზეწოლას მოძრაობის ბათუმის რაიონული ორგანიზაციის წევრებზე, ხოლო, როდესაც ქიბარ ხალვაშის ოჯახის ახლობლები და ნათესავები საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მისაღებად ბათუმიდან დედაქალაქში მოდიოდნენ, მათზე განხორციელდა მუქარის ზარები.

"დაფიქსირებულია ტელეფონის ნომერი 891 16 48 95, რომლიდანაც ხდებოდა აღნიშნულ პირთა დაშინება. ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით, იგი ეკუთვნის ვინმე პატარიძეს, რომელიც არის აჭარის პოლიციის მაღალჩინოსანი," - იუწყება პრესსამსახური.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის" პრესამსახურის ინფორმაციით, თავდასხმა მოხდა პარტიის მხარდამჭერზე ამირან ლომიძეზეც, რომელიც გუშინ ჩაქვიდან უნდა გამოყოლოდა თბილისისკენ მომავალ ოპოზიციის მხარდამჭერ კოლონას. ლომიძე სასტიკად არის ნაცემი.

მედიანიუსი

ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრს შეხვდა

ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საქართველოს იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს შეხვდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ორგანიზებით 2008 წლის ივნისში ნორვეგიაში გაცნობითი ვიზიტი მოეწყო, რომელშიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მონაწილეობდნენ. საპასუხოდ ქართულმა მხარემ ნორვეგიელი კოლეგები საქართველოში მოიწვია.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ტორე შეი ხელმძღვანელობდა. დელეგაციაში ასევე შედიოდნენ ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლე - ქეთილ ლუნდი და აილერტ სტანგ ლუნდი. შეხვედრას NORLAG-ის წარმომადგენლები და იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჯოხაძე ესწრებოდნენ.

საუბრის თემას საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე რეფორმები, იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის გაერთიანება, კორუფციასთან ბრძოლა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა და NORLAG -ის მიერ განხორციელებული პროექტები და საქმიანობა წარმოადგენდა.

ნორვეგიელი მოსამართლეები პირველად საქართველოში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის შეხვდნენ. ვიზიტის პირველ დღეს ნორვეგიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მცხეთის რაიონული სასამართლო, ასევე გაეცნენ მაგისტრატი სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას, ესტუმრნენ უზენაეს სასამართლოს, შენობის დათვალიერების შემდეგ კი, ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით გაიმართა კონფერენცია თემაზე - "საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განვითარებაში".

NORLAG-ი 2004 წელს დაფუძნდა. ძირითად სადამფუძნებლო დოკუმენტს ურთიერთგაგების მემორანდუმი წარმოადგენს, რომელსაც საქართველოსა და ნორვეგიის მთავრობების მიერ 2004 წლის ოქტომბერში მოეწერა ხელი. NORLAG-ის მიზანია კანონის უზენაესობის განმტკიცება საქართველოში. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, სხვადასხვა ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებთან სისხლის სამართლის პროცესისა და სასჯელაღსრულების სფეროში.

საკუთარი ინფორმაცია

სემინარი იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის

ქვემო ქართლის ბიუროების სტაჟიორებისათვის სემინარი გაიხსნა.

იუსტიციის სასწავლო ცენტრში იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისისა და ქვემო ქართლის ბიუროების სტაჟიორებისათვის სემინარი გაიხსნა. სწავლების მიზანია აღკვეთი ღონისძიების შერჩევისა და დაცვის ტექნიკის შესახებ სტაჟიორების თეორიული ცოდნის გაღრმავება და ადვოკატის უნარ-ჩვევების განვითარება.

სწავლებას უძღვებიან ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORGAL) ექსპერტები იორნ სიგურ მაურუ და ბერნდტ კროგი, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების იურისტები გიორგი გიორგაძე, მელიტონ ბენიძე და ირაკლი შონია.

სემინარის ფარგლებში განიხილავენ ნორვეგიის სამართლებრივ სისტემას. ასევე, ყურადღებას დაუთმობენ აღკვეთის ღონისძიების არგუმენტების წარდგენასთან დაკავშირებული პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას, როლურ თამაშებსა და დისკუსიებს.

იურიდიული დახმარების სამსახური ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიასთან (NORGAL) აქტიურად თანამშრომლობს. გასულ წელს NORGAL-ის დახმარებით საზოგადოებრივმა ადვოკატებმა რამდენიმე სასწავლო პროგრამა გაიარეს. გარდა ამისა, ამავე ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს ოფისი თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა. ამ ტიპის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. სამსახურის 10 ბიურო და 2 საკონსულტაციო ცენტრი კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს.

საკუთარი ინფორმაცია

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემამსუბუქებელი განაჩენი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ხულიგნობაში მსჯავრდებული73 წლის მამაკაცი ციხეში 4 წელს აღარ გაატარებს. მამა-შვილ ქარქუსაშვილებს შორის საცხოვრებელი ფართის თაობაზე დაწყებული კონფლიქტი სეროზულ დავაში გადაიზარდა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ლევან ქარქუსაშვილმა შვილსა და რძალს უცენზურო სიტყვებით მიმართა და ქვის სროლით დაემუქრა. შვილის მტკიცებით, მამა მას ლანძღავდა და ქვას ესროდა, რითაც მის ჯანმრთელობას შეუქმნა საფრთხე.

ბრალდების საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ ლევან ქარქუსაშვილი ხულიგნობის მუხლით გაასამართლა და 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

განაჩენი სააპელაციო წესით მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გაასაჩივრა და გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და წაყენებულ ბრალდებაში ლევან ქარქუსაშვილის გამართლება ითხოვა. მისი თქმით, საქმეში არ მოიძებნებოდა უტყუარი მტკიცებულება, რომელიც მოხუცის მიერ ხულიგნობის ჩადენის ფაქტს ეჭვგარეშე დაადასტურებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე არსებულ ყველა მტკიცებულებათა ერთობლივი გამოკვლევის შედეგად, მსჯავრდებულს ხულიგნობის ბრალდება მოუხსნა და მისი ქმედება მუქარით დააკვალიფიცირა. საბოლოოდ, ლ. ქარქუსაშვილს 4- წლიანი საპატიმრო სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით შეეცვალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრესსამსახური

ღატაკი ოჯახი შემწეობის დანიშვნას ითხოვს

გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში მცხოვრები დარეჯან და გიორგი ქაჩლიშვილები მეოთხე წელია საარსებო შემწეობის დანიშვნას უშედეგოდ ითხოვენ. სოციალური აგენტი, რომელმაც უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი მესამედ 2007 წელს შეამოწმა, აცხადებს, რომ ოჯახი ღატაკია, მაგრამ სააგენტომ ოჯახს დახმარება მაინც არ დაუნიშნა, - ამ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი" ავრცელებს.

ცენტრის ცნობით, დარეჯან და გიორგი ქაჩლიშვილებს შემოსავალი საერთოდ არ აქვთ. რამდენიმე წელია ოჯახს პურს და საკვებს მეზობლები აძლევენ.

გიორგი ქაჩლიშვილი მძიმე ავადმყოფია. ის ღვიძლის ცეროზით არის დაავადებული და აუტანელი ტკივილების მიუხედავად, გაუსაძლისი სოციალური პირობების გამო, ტკივილგამაყუჩებელსაც ვერ იღებს. საცხოვრებელ სახლში, რომელიც ერთი ოთახისგან შედგება, ისევე წვიმს, როგორც გარეთ. კარ-ფანჯრებზე მინის ნაცვლად პოლიეთილენის და ტომრის ნაჭერია აკრული, - აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენლები.

ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა დარეჯან ქაჩლიშვილმა დახმარებისთვის ადამიანის უფლებათა ცენტრის" კახეთის ოფისს რამდენიმე დღის წინ მიმართა. მისი თქმით, იმის გასარკვევად, თუ რატომ არ უნიშნავს სააგენტო დახმარებას მის ოჯახს, ბოლოს საგენტოს გურჯაანის განყოფილებას 14 აპრილს მიაკითხა, რა დროსაც განყოფილების უფროსმა ლეილა მურაკაშვილმა მას სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობები დაუხია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაცია დარეჯან ქაჩლიშვილს უფასო სამართლებრივ დახმარებას გაუწევს და იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მომსახურების სააგენტო ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობას დაუყოვნებლივ არ დაუნიშნავს, სარჩელით სასამართლოს მიმართავენ.

საკუთარი ინფორმაცია

თურქეთი და სომხეთი ურთიერთობების მოგვარებას იწყებენ

პირველი გვერდიდან

მხარეები აპირებენ თანამშრომლობას ურთიერთპატივისცემის და კეთილმეზობლობის საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობას, სტაბილურობას და უსაფრთხოებას მთელ რეგიონში. მხარეებმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს და ურთიერთგაგებას მიაღწიეს. შეთანხმებული პოზიციები პროცესის გაგრძელების კარგ პერსპექტივას ქმნის."

სომხეთსა და თურქეთს შორის ყველანაირი ურთიერთობა, მათ შორის დიპლომატიური, ფაქტობრივად, შეწყვეტილია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა 1993 წელს თურქეთმა, აზერბაიჯანის სოლიდარობის მიზნით, სომხეთთან საზღვარიც ჩაკეტა. ბოლო წლებში ორი ქვეყნის ოფიციალურ პირებს შორის კონტაქტები გახშირდა. შუამავლები, მათ შორის აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელიც თურქეთში ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა, მოითხოვდნენ, რომ მოლაპარაკებები წინაპირობების გარეშე გამართულიყო, რაც ამ ეტაპზე განხორციელდა კიდეც.

ამ ურთიერთობების მოგვარებას ორი სერიოზული საკითხი უშლის ხელს: ყარაბაღის კონფლიქტი და 1915 წლის სომეხთა გენოციდი ოსმალეთის იმპერიაში, როცა, სხვადასხვა ინფორმაციით, მილიონ ნახევრიდან 2 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. სომხეთი თურქეთისგან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებისგან, გენოციდის აღიარებას მოითხოვს. თურქეთი მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლს, უბრალოდ, საომარ მოქმედებებს აბრალებს და გენოციდს არ აღიარებს. პირიქით, მოითხოვს, რომ სომხეთმა ეს პრეტენზია მოხსნას. გარდა ამისა, თურქეთი სომხეთისგან აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიიდან გამოსვლას ითხოვს - ცხადია, მთიანი ყარაბაღის ჩათვლით.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარებას ეჭვით უყურებს აზერბაიჯანი, რომელიც აცხადებს, რომ თურქეთი, იმედია, პირობას არ დაარღვევს და აზერბაიჯანს "არ გაყიდის". თავის მხრივ, თურქეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ არანაირ საზღვრის გახსნაზე ჯერ ლაპარაკი არ არის, მათი პოზიცია ყარაბაღთან მიმართებაში ცნობილია და ის არ შეცვლილა.

სიმპტომატურია, რომ საგზაო რუკის ხელმოწერა 24 აპრილის წინ მოხდა, როცა სომხეთი გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს აღნიშნავს. პარალელურად, აშშ-ში გენოციდის აღიარების მხარდამჭერ კონგრესმენთა რიცხვმა 101-ს მიაღწია. სომხურ დიასპორას იმედი აქვს, რომ ობამა წინსაარჩევნო დაპირებას შეასრულებს და გამოსვლაში სიტყვა გენოციდს იხმარს.

კლინტონი ისლამაბადს კრიტიკებს

ხათუნა გაბიევი

AFP ' 2009

ჰილარი კლინტონი

კონგრესში სიტყვით გამოსვლისას, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა პაკისტანის ხელისუფლება მთელ რიგ პროვინციებში თალიბებისთვის ძალაუფლების დათმობაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, პაკისტანში არსებული მდგომარეობა მსოფლიო უსაფრთხოებისთვის "მომაკვდინებელი საფრთხის" წყაროა.

"პაკისტანის ხელისუფლება რეალურად უარს ამბობს ძალაუფლებაზე თალიბებისა და ექსტრემისტების სასარგებლოდ," - განუცხადა კლინტონმა წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებს სხდომაზე.

მასმედიის შეფასებით, სახელმწიფო მდივნის სიტყვები უჩვეულოდ მკაცრი შეფასებაა ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან, რადგან დღემდე პაკისტანი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის მოკავშირედ მიიჩნეოდა.

კლინტონის თანახმად, ექსტრემისტული დაჯგუფების ხელშია გადასული ფაქტობრივად ისეთი რაიონები, როგორიცაა პაკისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთში სვატის ხეობა.

მან ასევე გააკრიტიკა პაკისტანის სასამართლო სისტემა, რომელიც კორუფციის ჭაობშია ჩაფლული და ქალაქების საზღვრებს გარეთ მისი უფლებები მკვეთრად შეზღუდულია.

მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში პაკისტანის პრეზიდენტი ალი ასიფ ზარდარი დათანხმდა სვატის ხეობაში შარიათის კანონების შემოღებას მეამბოხე თალიბებთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, რომელიც იმ მოქმედების შეზღუდვას ითვალისწინებს, რასაც თალიბები აღნიშნულ ტერიტორიაზე ორი წლის განმავლობაში ახორციელებდნენ.

ოდესღაც პაკისტანის ყველაზე პოპულარულ საკურორტო რაიონს - სვატის ხეობას თითქმის სრულიად აკონტროლებენ თალიბები. სვატის ხეობა, რომელსაც არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ბუნების გამო "პაკისტანის შვეიცარიასაც" უწოდებენ, ისლამაბადიდან 100 კმ-ის მანძილზე მდებარეობს, მაგრამ, როგორც ჩანს, თალიბები მხოლოდ ამ რაიონით დაკმაყოფილებას არ აპირებენ და არეალის გაფართოებასაც ცდილობენ.

აღნიშნულ რაიონში ბოევიკთა მოქმედების შედეგად ათასობით ადამიანმა მიატოვა საკუთარი სახლი, ხოლო ასობით სკოლის შენობა დაინგრა.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა პაკისტანელ ხალხს ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ "აქტიურობისკენ" მოუწოდა.

"ისლამაბადის ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად სულ უფრო მეტი რაიონი ექცევა თალიბი ბოევიკების, "ალ-ქაიდასა" და მათი მოკავშირეების კონტროლქვეშ," - განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავის პოლიტიკაში პაკისტანის უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაზე აქცენტი ქვეყნისთვის მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დახმარების შეთავაზებით გააკეთა, მაგრამ სამაგიეროდ ოფიციალური ისლამაბადისგან აქტიური თანამშრომლობა მოითხოვა.

კლინტონის განცხადებით, პაკისტანის ვითარება "გადაუდებელი ყურადღების მიქცევას" ითხოვს.

"შეუძლებელია, სათანადოდ არ შეფასდეს თავად პაკისტანის სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ მიმართული სერიოზული გამოწვევები, მიუხედავად იმისა, რომ მეამბოხეები სუსტად ცენტრალიზებულ ტერორისტულ გაერთიანებას წარმოადგენენ. მეამბოხეების მიზანი პაკისტანის ხელისუფლების დამხობაა," - აღნიშნა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა.

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც გარკვეულწილად ადგილობრივი ტომები აკონტროლებენ, ავღანეთში ამერიკის შეჭრის შემდეგ ბევრი ტერორისტი ლიდერისთვის თავშესაფრად იქცა. ამერიკის უპილოტო ავიაციას რეგულარულად მიაქვს სარაკეტო იერიშები ავღანეთის საზღვარზე მდებარე ექსტრემისტების ბაზაზე, რის პასუხადაც ბოევიკები ახალი ტერაქტებით იმუქრებიან, მათ შორის შეერთებული შტატების ტერიტორიაზეც. პაკისტანის ხელისუფლება კი ასეთი ტიპის იერიშებს აკრიტიკებს.

პაკისტანისა და ავღანეთის პრეზიდენტები, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის მაისში ვაშინგტონში უნდა ჩავიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებებში, რომლის მიზანიც ამ რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე შეთანხმებაა. ამ შემთხვევაში ავღანეთის ფაქტორი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან მის ტერიტორიაზე საერთაშორისო კოალიციური ძალები თალიბების წინააღმდეგ აწარმოებენ ბრძოლას.

კონგრესში მოსმენაზე ჰილარი კლინტონს, პაკისტანისა და ავღანეთის გარდა, კუბასა და ირანის შესახებ დასმულ შეკითხვებზეც მოუხდა პასუხის გაცემა. ბოლო დროს კუბასთან ურთიერთობებში ოფიციალური ვაშინგტონი საერთო ენის გამონახვას ცდილობს. რაც შეეხება ირანს, საქმე გაცილებით სერიოზულადაა, რადგან, როგორც თავად ჰილარი კლინტონმა განაცხადა, ოფიციალურ თეირანს, თუკი იგი ბირთვული პროგრამის შესახებ თანამშრომლობისთვის ინიცირებულ წინადადებებს არ დათანხმდება, "უმკაცრესი სანქციები" ემუქრება.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თქმით, ოფიციალური ვაშინგტონი უკვე "ამზადებს საფუძველს" ასეთი ღონისძიებებისთვის იმ შემთხვევაში, თუ თეირანი უარს იტყვის დიალოგზე ან პროცესი წარმატებით არ დაგვირგვინდება.

არის თუ არა ეს ფალსიფიკაცია?

"საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი" არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს ეკონომიკური და სოციალური სფეროს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს შეისწავლის. მათ შორისაა საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცულობის მდგომარეობა. ორგანიზაციის აზრით, ერთ-ერთი სფერო, სადაც ქართველი მომხმარებელის ინტერესები პრაქტიკულად დაუცველია, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის საკითხებია. დღევანდელი სტატია სურსათის ფალსიფიკაციის პრობლემას შეეხება.

30-წელს დაგაცილებულ ადამიანებს ალბათ ახსოვთ "საბჭოური პერიოდის" არაჟნის გემო. შეგიმჩნევიათ, რომ დღეს მაღაზიაში შეძენილ არაჟანს რაღაც სხვა გემო აქვს? დაინტერესებულხართ, რატომ? ჩვენ დავინტერესდით.

როგორც გაირკვა, საქართველოში არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც დაადგენდა, ზუსტად რას უნდა შეიცავდეს ამა თუ იმ დასახელების სასურსათო პროდუქტი, რომელიც ბაზარზე არის გამოტანილი. შესაბამისად, არც არაჟნის ზუსტი შემცველობა არის რეგლამენტირებული. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ, სურვილის შემთხვევაში, "არაჟნის" სახელწოდებით ლიმონათი ან ძეხვიც შეიძლება გაიყიდოს. სურსათის დასახელება მომხმარებლისთვის ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს _ მის მიხედვით მომხმარებელი ადგენს, თუ რა ტიპის პროდუქტთან აქვს საქმე და სურს თუ არა მისი შეძენა. მომხმარებლის ძირითადი უფლება ხომ არის უფლება არ იყოს მოტყუებული, რაც იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, "არაჟნის" სახელწოდებით ბაზარზე უნდა იყიდებოდეს ისეთი პროდუქტი, რომელიც შეესაბამება მომხმარებლის მოლოდინს "არაჟანთან" დაკავშირებით.

რა მიგვაჩნია ჩვენ, მომხმარებლებს "არაჟნად"? ჩვენ ყველამ ვიცით, რომ "არაჟანი" ძროხის რძის ნაწარმია. ენციკლოპედიებში თუ ჩავიხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ არაჟანი რძის ნაღების ფერმენტაციის შედეგად მიღებული პროდუქტია. 2003 წლის რუსული #52092 "გოსტით" არაჟნის დასამზადებლად გამოყენებული შეიძლება იყოს მხოლოდ: რძე, რძის ნაღები, კარაქი და სპეციალური ბაქტერიული დედო. სხვა დანამატის გამოყენებით მიღებული პროდუქტი არაჟანი არ არის.

ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვერკვია, ნამდვილად არაჟანია თუ არა ის პროდუქტი, რომელიც საქართველოს მაღაზიებში "არაჟნის" სახელწოდებით იყიდება. ამისთვის მარტივი გზა ავირჩიეთ: როგორც სპეციალისტებთან დავადგინეთ, ნაღების არაჟნად გარდაქმნისას ნახშირწყლების და ცილების სტრუქტურა იცვლება, ცხიმების კი _ არა. ამიტომ, არაჟანის ცხიმები იგივე რძის ცხიმებია. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნამდვილი არაჟანია და არა სხვა, რაღაც იაფფასიანი ცხიმის შერევით მიღებული სუროგატი.

ინტერნეტის საშუალებით გავარკვიეთ, რომ სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) ე.წ. "კოდექს ალიმენტარიუსის" სტანდარტებს შორის არის სტანდარტი (CODEX STAN 32-1981), რომელიც მყარი ცხიმების ნარევში (მარგარინში) რძის ცხიმების შემცველობის დადგენის საშუალებას იძლევა. გადავწყვიტეთ, გაზომვის ეს აღიარებული მეთოდი გამოგვეყენებინა ქართული "არაჟნების" შემადგენლობის გასარკვევად: თუკი ეს "არაჟნები" მართლაც რძის ცხიმის ნაწარმია, გაზომვამ უნდა გვაჩვენოს, რომ მასში შემავალი ცხიმების 100% რძის ცხიმია.

მოულოდნელად რთული აღმოჩნდა თბილისში ისეთი ლაბორატორიის მოძებნა, რომელიც აღნიშნული გაზომვების ჩატარებაზე დაგვთანხმდებოდა. ბოლოს ასეთ ლაბორატორიას მივაგენით _ აკრედიტებული ლაბორატორია "ნორმა" დათანხმდა გაეზომა არაჟნის ცხიმებში რძის ცხიმის შემცველობა CODEX STAN 32-1981 სტანდარტში აღწერილი გაზომვის მეთოდის მიხედვით.

შემდგომი ჩვენი მოქმედებები ასეთი იყო: 2009 წლის 23 მარტს მაღაზია "გუდვილში" შევიძინეთ ყველა დასახელების არაჟანი, რაც კი ჰქონდათ. ესენი იყო:

1. არაჟანი სანტე 30%
2. არაჟანი Supernova ყოველთვის ახალი 15%
3. არაჟანი ეკოფუდი De Lux 30%
4. არაჟანი ამალთეა 15%
5. არაჟანი გუდვილი 15%
6. არაჟანი ეკოფუდი 15%
7. არაჟანი ჩვენი ფერმერი 20%
8. არაჟანი ქობულეთური 25%

ყველა ტიპის არაჟანი სათითაოდ გადავიტანეთ დანომრილ ერთჯერად ჭიქებში და ჩავაბარეთ ლაბორატორიას საანალიზოდ (დანარჩენი კი საიმედოდ შევინახეთ საყინულეში მომავალი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად). პასუხს საკმაოდ დიდხანს ველოდეთ. აი ისიც:

შპს "ნორმა"-ს ტესტირების ლაბორატორია

ატესტატის მოწმობა № [illegible]

(მოქმედების ვადა 30.07.08-27.07.2011)

გამოცდის ოქმი №№37-44 07.04.2009წ.

ნიმუშის დასახელება - არაჟანის 8 ნიმუში

ნიმუშის შემოსვლის თარიღი- 23.03.09 განაცხადი - №2303/09 23.03.2009

დამკვეთი, მწარმოებელი – "ეროვნი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი"

გამოცდის მიზანი – არაჟანში, ცხიმის საერთო რაოდენობაში, რძის ცხიმის შემცველობის განსაზღვრა

გამოცდის შედეგები

არაჟნის ნიმუშის ნომერი	არაჟანში, ცხიმის საერთო რაოდენობაში, რძის ცხიმის შემცველობა - %
№1	4,0
№2	25,4
№3	2,7
№4	79,4
№5	5,0
№6	2,1
№7	23,6
№8	29,3

გამოცდის მეთოდები -კვების პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO)-ს მიერ მოწოდებული მეთოდები:

Codex standard for Margarine (CODEX STAN 32-1981);

METHODS OF ANALYSIS AND SAMPLING;

Estimation of Milk Fat Content (CAC/RM 15-1969);

განისაზღვრა რეფრაქტის (R), პოლენსკის (P), კირშნერის (K) პარამეტრები და დადგინდა ცხიმის საერთო რაოდენობაში რძის ცხიმის შემცველობა.

ლაბ. მოგებმოვანელი

დ.ზოიძე

როგორც ხედავთ, ჩვენს მიერ შემოწმებულ რვა სხვადასხვა "არაჟანის" ცხიმების საერთო რაოდენობაში რძის ცხიმის შემცველობა 2-დან 80%-მდე მერყეობს. რაც იმას გულისხმობს, რომ საუკეთესო შემთხვევაში ე.წ. "არაჟანში" არსებული ცხიმების მხოლოდ 80%-ია რძის ცხიმი და დანარჩენი 20% რაღაც სხვა ცხიმია. ზოგიერთ არაჟანში კი ამ სხვა ცხიმების წილი 98%-მდეც კი ადის!

დასკვნა მარტივია: "არაჟნის" არც ერთი ნიმუში არ წამოადგენს სუფთა რძის ცხიმის პროდუქტს და შესაბამისად არ არის ნამდვილი არაჟანი! ეს რაღაც სხვა ცხიმის შერევით მიღებული სუროგატული პროდუქტებია! მაშ რატომ ჰქვია ამ პროდუქტებს "არაჟანი"?

რა არის ეს, თუ არა მომხმარებლის მოტყუება?

გაგრძელება იქნება. . .

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი
ექსპერტი ლია თოდუა

პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

რევიუ

ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის ქალაქ ჰუაინანში უნიკალური არქიტექტურის მქონე ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა. მას წინიდან მინის უზარმაზარი ვიოლინოს ფორმა აქვს, უკანა ფასადი კი შავი როიალის ფორმისაა. ეს ულამაზესი შენობა უზარმაზარ მწვანე მინდორშია აგებული და შიგთავსის გარდა ტურისტების ინტერესს ამ კონცეპტუალური დიზაინითაც იქცევს.

ლეგოს ვირტუალური სამყარო

ლეგო როკ ბენდი 2009 წლის ბოლოს გამოვა

უახლოეს მომავალში ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გასართობის, ლეგოს ფიგურების მიხედვით გაკეთებული კიდევ ერთი თამაში გამოვა. კომპანიებმა Traveller's Tales-მა და Harmonix Music Systems-მა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ შემოდგომაზე PlayStation 3-სთვის, Xbox 360-სა და Wii-სთვის ლეგო როკ ბენდი გამოვა.

უკვე ცნობილია ისიც, რომ თამაშში შენარჩუნებული იქნება როკ ბენდის სერიების თამაშებისთვის არსებული ყველა დამატებითი კონტროლერი - გიტარა, მიკროფონი, დასარტყამი ინსტრუმენტი და ასევე კარაოკეს სისტემაც. თამაშის დეველოპერმა კომპანიებმა ისიც აღნიშნეს, რომ ლეგო როკ ბენდი ძირითადად მოზარდ მომხმარებელზე იქნება გათვლილი და მასში შესულ სიმღერებსაც ამ ასაკობრივი კატეგორიის გემოვნებით იქნება შერჩეული. მაგალითად ცნობილია, რომ თამაშისას შესაძლებელი იქნება შემდეგი სიმღერების იმიტირება: Song 2 (Blur), Boys and Girls (Good Charlotte), So What (პინკი), The Final Countdown (Europe), Kung Fu Fighting (კარლ დუგლასი) და სხვა. ამ ჩამონათვალს ცხადია

კიდევ დაემატება რამდენიმე შემსრულებელი.

სხვათა შორის, ლეგო როკ ბენდი ერთ-ერთი იმ თამაშთაგანია, რომელსაც მომხმარებელი დიდი ხანია ითხოვს. Traveller's Tales-ის მიერ მასზე მუშაობის დაწყების შესახებ ჭორები ჯერ კიდევ 2009 წლის დასაწყისში გავრცელდა და როგორც ჭორების შემთხვევაში ხდება ხოლმე, საბოლოოდ დადასტურდა კიდეც. კომპანიის წარმომადგენლებმა ისიც აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს მუშაობა როკ ბენდის სერიის კიდევ ორ ნაწილზე: Rock Band Unplugged და The Beatles. დადასტურდა ისიც, რომ წლის ბოლოსთვის ლეგოს სერიის კიდევ ერთი თამაში გამოვა - მისი სიუჟეტი ჯერჯერობით უცნობია.

რაც შეეხება ლეგოს კომპიუტერული თამაშების თავისებურებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე ორიგინალური და უცნაური სტრუქტურის მქონე თამაშები. ყველა პერსონაჟი და ნივთი (ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, მანქანები და ასე შემდეგ) მხოლოდ და მხოლოდ ლეგოს ფიგურებითაა გაკეთებული. მართალია ეს თამაშს ბავშვური გასართობის სახეს აძლევს, მაგრამ გვერწმუნეთ, ეს ყველაფერი საოცარ სანახაობას და თავბრუდამხვევ თავგადასავალს ქმნის.

ამჯერად არსებობს ლეგოს რამდენიმე ცნობილი თამაში: ლეგო ბეტმენი , ლეგო ვარსკვლავური ომები , ლეგო ინდიანა ჯონსი და სხვა. ჩამოთვლილი თამაშებიდან ვარსკვლავური ომები და ინდიანა ჯონსი ცნობილი ფილმების მიხედვითაა შექმნილი (IV. V, VI ვარსკვლავური ომები და ინდიანა ჯონსის პირველი სამი ნაწილი). მაგალითად, ლეგო ვარსკვლავურ ომებში სიუჟეტი სწორედ ნახსენები ფილმების სიუჟეტის პარალელურად მიმდინარეობს. მონაწილეობს ყველა პერსონაჟი: ლუკ სკაიუოკერი, ჰან სოლო, დარტ ვეიდერი, ჩუბაკა, R2-D2, C-3PO და სხვა. იგივე ხდება ლეგო ინდიანა ჯონსშიც - თამაშის განმავლობაში ჯერ დაკარგულ კიდობანს ეძებ, შემდეგ ბედის ტაძარში მოგზაურობ, ბოლოს კი გრაალის თასის მოსაძებნად მიემგზავრები. ვინაიდან ეს თამაშები ძირითადად მოზარდ მომხმარებელზეა გათვლილი, აქ ვერ ნახავთ ძალადობის ერთ ფაქტსაც კი - ბოროტ პერსონაჟებს კი არ ხოცავ, უბრალოდ ლეგოს ფიგურებად შლი. გზას კი სწორედ ამავე ლეგოს ფიგურებით აწყობილი კიბით, ხიდით, კარით ან სხვა საშუალებით იკვლევ. რაც მთავარია, თამაშები დატვირთულია იუმორით და ახლავს ორიგინალი ფილმების მუსიკაც.

ᲐᲤᲘᲨᲐ

24 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
შობის მეთორმეტე რამე, ანუ როგორც გენებოთ
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
ზაფხულის ღამის სიზმარი
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი
ბედნიერი ერი
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
ქვრივები
რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი
დასაწყისი: 20.00

თეატრალური სარდაფი
სიყვარული, ნარკოტიკი და ...
დასაწყისი: 20.00

თავისუფალი თეატრი
“ანა ფრანკის დღიური”
დასაწყისი: 19.00

პანტომიმის თეატრი
“დუმილის პოეზია”
დასაწყისი: 19.00

კინო

რუსთაველი
დესპეროს თავგადასავალი
დასაწყისი: 15.00; 16.45; 19.30;
მადაგასკარი 2
დასაწყისი: 14.00; 15.45; 17.30;
მილიონერი გარეუბნიდან
დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.30; 22.15
სხეულის გარეშე
დასაწყისი: 18.15; 20.15; 22.15
ცვლილება
დასაწყისი: 21.30

ამირანი
თქვი დიახ
დასაწყისი: 30.30; 14.45; 18.00; 20.15; 22.15
ნიკი და ნორა
დასაწყისი: 20.00
ზღაპრები ძილის წინ
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00;
სხვა სამყარო - 3
დასაწყისი: 22.00

“საქართველო”
“მადაგასკარი”
დასაწყისი: 13.00; 15.00
სხვა სამყარო
დასაწყისი: 19.00; 21.00
“სხეულის გარეშე”
დასაწყისი: 17:00

გამოფენები

თიბისი გალერეა
გია გუგუშვილისა და ქეთი მატაბელის გამოფენა

ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

რეპორტაჟი წიგნის საერთაშორისო დღის თბილისური ეპიცენტრიდან

ია ვეკუა

პოლიტიკურად აგიზგიზებულ თბილისს გუშინ კიდევ ერთი ეპიცენტრი შეემატა - ამჯერად ლიტერატურული. თბილისში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნებოდა, ყველაზე მასშტაბური ღონისძიებების საორგანიზაციოდ კი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გაისარჯნენ. ამჯერად ტრადიციულ წიგნის ბაზრობას კიდევ ერთი ღონისძიება შეემატა - ცოცხალი ბიბლიოთეკა ცოცხალი ავტორებისა და მკითხველის ცოცხალი დიალოგით.

ია ვეკუა ფოტო

რამდენიმე წელია, რაც ზაფხულის დადგომისთანავე თბილისში წიგნის საერთაშორისო ბაზრობა იმართება. სწორედ აქ იყრის თავს ქართული თუ უცხოური გამომცემლობების მიერ წლის განმავლობაში გამოცემული მხატვრული, ტექნიკური თუ სხვა სახის ლიტერატურა. წიგნის დღისადმი მიძღვნილი ბაზრობა კი შედარებით მოკრძალებული მასშტაბის იყო, მაგრამ გაცილებით შორსმავალ სურვილებს მოიცავდა - ძირითად კონტინგენტს ახალგაზრდა მკითხველი, სტუდენტები შეადგენდნენ. სწორედ ასეთ დროსაა შესაძლებელი იმის გარკვევა, რას ირჩევს დამწყები ან ჯერ ბოლომდე არ შემდგარი მკითხველი.

ორუელები ვიყიდე , - ამბობს ცხოველების ფერმისა და 1984-ის ახალი მფლობელი. იყიდა, თუმცა წაიკითხავს თუ არა, ამას ოდნავ მოგვიანებით გადაწყვეტს. მიზეზად კი ორ გარემოებას ასახელებს - თუ ლექციებზე არ გადაიღალა ან მიტინგზე თუ არ გაისეირნა. ბანალური მიზეზებია, თუმცა აქტუალური, ისევე აქტუალური, როგორც ორუელების შეძენა. გაცილებით მყარი არგუმენტი მოჰყავს ადამიანის ანატომიის მყიდველს. მას ეს წიგნი ცოდნის გაღრმავების გარდა იმავე მიტინგზე ბორდიურზე გაცივების გარეშე ჩამოჯდომის საშუალებასაც მისცემს (წარმოიდგინეთ როგორი სქელი წიგნია ადამიანის ანატომია).

დიოგენეს , სიესტას , ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის , ინტელექტისა და სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილი გამომცემლობების გარდა წიგნის დღეში მონაწილეობის უფლება ამ სფეროს ინდმეწარმეებმაც მიიღეს - ანუ მათ, ვინც საკუთარი ან სხვისი ბიბლიოთეკებიდან გამოტანილ წიგნებს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ყიდიან. ყველაზე საინტრესო სწორედ აქ იწყება: მათ დახლებზე მხოლოდ ყდაგაცვეთილი, ათასჯერ გადაკითხული, სამახსოვრო წარწერებიანი (მაგალითად: სახსოვრად ლადოს დაბადების დღის აღსანიშნავად. 20.06.1976), ჯერ კიდევ მერანის მიერ გამოცემული და წარსული მსგავსი ნიშნებით აღნიშნული წიგნები იყიდება. აქ ერთმანეთის გვერდზეა მიწყობილი ფანტომასი , ვანგა , მავანი ბატონი ბლო და ტეს დ`ებერვილი , შემდეგი რიგი ქართველ პერსონაჟებს ეკუთვნით: თამარ მეფე , დათა თუთაშხია და თავადის ქალი მაია და ასე გრძელდება შუშანიკის წამებიდან დიდოსტატის მარჯვენამდე . მოკლედ არჩევანი დიდია - ამრჩევი ცოტა. ამის გამო ძველი წიგნების გამყიდველი მარიამ დარჯანიაც წუხს: მოდიან, ათვალიერებენ, აურევენ აქაურობას და მიდიან. ეცინებათ ხოლმე, როდესაც ვთქვათ ფანტომასის ყდას მოკრავენ თვალს. არის შემთხვევები, როდესაც ძალიან ცნობილ ავტორზე კითხულობენ: კარგია? ასეთ დროს მავიწყდება, რომ გამყიდველი ვარ და ლიტერატურის მცირე ლექციის ჩატარებას ვიწყებ. ხან მისმენენ, ხანაც გამირბიან. შედეგი კი უმეტესად ერთია - არ ყიდულობენ.

მარიამ დარჯანია, ისევე როგორც სხვა ძველი წიგნებით მოვაჭრეები წიგნებს 2, 3, 5 ლარად ყიდიან. მინიმალურია ტომეულების ფასებიც. მაგალითად ილია ჭავჭავაძის ხუთტომეული 30 ლარი ღირს, აკაკი წერეთლის ათტომეული - 80, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას ტომებს 70 ლარად შეიძენთ. სამაგიეროდ ჯოან როულინგის ჰარი პოტერები ოღონდ რუსულ ენაზე და ისიც კოხტა სკივრში ჩალაგებული ნახევარი ხელფასი დაგიჯდებათ (ძალიანაც ნუ დაფრთხებით, საშუალო ხელფასი იგულისხმება).

გადავინაცვლოთ წიგნის დღის ყველაზე მნიშვნელოვან განყოფილებაში - ცოცხალი ბიბლიოთეკა აქ დილიდან მუშაობდა. წიგნების როლები ამჯერად თავად ავტორებს ერგოთ, შინაარსს კი კონკრეტული ლიტერატურული თუ არალიტერატურული თემები წარმოადგენს. ცოცხალი ბიბლიოთეკის მონაწილე ავტორები თავად სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, წიგნის დღის ორგანიზატორებმა შეარჩიეს, განსხვავებულმა გემოვნებებმა კი საკმაოდ საინტერესო კონტინგენტი შეკრიბა: პოეტები შოთა იათაშვილი, ზურა რთველიაშვილი და შოთა გაგარინი, მწერალი და პოეტი დავით დეფი გოგიბედაშვილი, მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, 24-ე სკოლის დირექტორი და გამომცემელი გია მურღულია, მთარგმნელი დავით აკრიანი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი, მსახიობი, მოცეკვავე და თბილისის კოლორიტი გივი სიხარულიძე და ასე შემდეგ. ყველა მათგანმა საკუთარ აუდიტორიას კითხვა-პასუხის რეჟიმზე აგებული მინილექციები წაუკითხა.

შოთა იათაშვილმა თვითმკვლელ პოეტებზე არჩია საუბარი. გაიხსენა არა მხოლოდ საკუთარი მეგობრები ან ამ გზით გარდაცვლილი ცნობილი პოეტები, არამედ ისინიც, ვინც განსაკუთრებით საინტერესო გზით მოისწრაფა სიცოცხლე. თუმცა მისი საუბრის მთავარი მიზანი ცხადია ამ ფაქტების აღწერა, არამედ მათი გამომწვევი მიზეზები იყო: 1996 წელს ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ბადრი გუგუშვილმა წითელ პარასკევს მოიკლა თავი. თითქოს არ ჰქონდა ამის მიზეზი, საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა, ბევრს წერდა, თუმცა სიცოცხლის დასრულება თვითმკვლელობით გადაწყვიტა. ვერასდროს გაიგებ, რატომ იქცევა ასე ადამიანი. ვერასდროს გაიგებ, რატომ აკეთებს ამას პოეტი...

გაცილებით პოზიტიური იყო დავით დეფი გოგიბედაშვილისა და მისი აუდიტორიის დიალოგი. შესაბამისია მწერლის კომენტარიც: ახალგაზრდა თაობას აინტერესებს მუსიკა, მწერლობა, სახვითი ხელოვნება, თუმცა მხოლოდ იმ ფორმით მიწოდებული, როგორც ეს თანამედროვე მსოფლიოში ხდება, გუშინდელი დღე კი მათთვის გაცილებით ნაკლების მთქმელია. მე ბედნიერი ვარ, რომ ამ აქტუალობის ერთ-ერთი მონაწილე და შემქმნელი ვარ. მე მათ ჩემს გულს და ფიქრებს ვთავაზობ, ეს ფიქრები კი იმდენად გულწრფელია, რომ ყველაზე გამოუცდელი მკითხველიც კი მომყვება, მეცნობა, ჩემთან ერთად ვითარდება. ეს არის თაობა, რომელიც ჯერ კიდევ ძველსა და ახალს შორის გადებულ ხიდზე დგას, მეორე ნაპირზე კი აუცილებლად გაშლილი ხელით და გულით უნდა დავხვდეთ, რომ ჩვენს ნაპირზე თავი კომფორტულად იგრძნს. შემიძლია გავიხსენო როგორები იყვნენ ჩვენი ახალგაზრდები 5-6 წლის წინ - მათი მსოფლმხედველობა და თვალსაწიერი საგრძნობლადაა გაზრდილი, ერთბაშად რამდენიმე სართული აქვთ მომატებული. ეს კი მხოლოდ დიდი ოპტიმიზმის საფუძველი შეიძლება იყოს .

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲪᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ

პარიზის სასამართლოს დადგენილებით დაიხურა გამოფენა - ჩვენი სხეული ღია სხეულია (Our body, a corps ouvert), რომელზეც სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი გარდაცვლილი ადამიანების ცხედრები. აღნიშნულმა ექსპოზიციამ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა, ის მილიონმა ადამიანმა დაათვალიერა. პარიზში ეს გამოფენა 12 თებერვალს გაიხსნა და წესით, 10 მაისამდე უნდა გაგრძელებულიყო.



სასამართლომ აღნიშნული ექსპოზიციის დახურვა 24 საათის განმავლობაში მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოფენის ორგანიზატორები ოცი ათასი ევროთი დაჯარიმდებოდნენ. ექსპონატების ხელისუფლებისთვის გადაცემის შემთხვევაში კი, ინიციატორები თავიდან 50 ათასი ევროს გადახდასაც აიცილებდნენ.

სასამართლოზე გამოფენის ორგანიზატორთა მხარე ადამიანის უფლებათა დაცვის ორმა ჯგუფმა დაიჭირა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ გამოფენის ექსპონატები, რომლებიც აღწერილნი იყვნენ როგორც ამოუცნობი ცხედრები, სინამდვილეში ჩინეთის ციხეებში სიკვდილმისჯილი პატიმრებისა იყო. თუმცა, მოსამართლე თავის განაჩენში ცხედრების წარმომავლობაზე არ დაკონკრეტდა და აღნიშნა, რომ გამოფენა აძაგებს ადამიანურ სხეულს. სასამართლომ იხელმძღვანელა 2008 წლის დეკემბერში მიღებული კანონით იმის შესახებ, რომ გარდაცვლილი ადამიანის სხეული სასაფლაოზე უნდა განისვენებდეს.

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა საფრანგეთის მუზეუმებს კოლექციებიდან მუმიებისა და ჩონჩხების ამოღება აიძულოს.

კიდევ ერთი მცდელობა ქართული კინოს გადასარჩენად

ბელა ჩეკურიშვილი

კადრი ფილმიდან "გაღმა ნაპირი"

კადრი ფილმიდან "მედიატორი"

მაინც როგორი პოლიტიკის გატარებაა საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში კინოწარმოება განვითარდეს? რა გზას დაადგნენ ის ქვეყნები, სადაც ათწლეულების მანძილზე კინო სახელმწიფო სუფსიდიებით არსებობდა? ანდა, რის გათვალისწინება გვმართებს იმ ქვეყნების გამოცდილებიდან, სადაც კინოწარმოება მაღალ დონეზეა?

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი კინოპოლიტიკის შესახებ რეკომენდაციის მისაღებად ინგლისურ საკონსულტაციო კომპანიას BOP Consulting-ს დაუკავშირდა. მათი რჩევით ჩატარდა ქართული კინობაზრის კვლევა, რაც ქართული კვლევითი ორგანიზაციის ACT-ს მიერ განხორციელდა. ინგლისურ საკონსულტაციო ჯგუფს აინტრესებდა რა სუფსიდიები არსებობს საქართველოში კინოწარმოებისათვის, როგორია კინოთაეტრების მდგომარეობა, მაყურებლი პროფილი, კინოსეანსებზე დასწრების ხარისხი, დისტრიბუცია.

ამისათვის გამოიკითხნენ კინომწარმოებლები, ტელეკომპანიების წარმომადგენლები, ლაინპროდუსერები, DVD-დისტრიბუტორები, კინოთატრების წარმომადგენლები. კვლევის მიზანი იყო ობიექტური ინფორმაციის მიღება ქართული კინოწარმოებასა და დისტრიბუციაში.

როგორც საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილემ გოჩა ჟორჟოლიანმა გვითხრა, კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მართალია საქართველოში საპროდუსერო კომპანიები მომრავლდა, მაგრამ ფილმწარმოება არასისტემატურად ხდება და ეს წლების მიხედვით სტაბილურად არ ნაწილდება, ამიტომ მათ პროფილსა და რაოდენობაზე მსჯელობა შეუძლებელი ხდება.

ინგლისელების თქმით, ჩვენი ძალიან დიდი სისუსტე ისაა, რომ საქართველოს, რეალურად, კინოწარმოების მხოლოდ საწყისი და ბოლო ეტაპის უზრუნველყოფა შეუძლია, ისიც ძალიან შეზღუდულად. ხოლო არსებული ბაზით ერთდროულად მხოლოდ ორი ფილმის წარმოებაა შესაძლებელი.

კინოწარმოების განვითარებაში პრობლემაა ისიც, ის რომ საქართველოში კინოცენტრი ერთადერთი დამფინანსებელი ორგანიზაციაა, სხვა ფონდები არ მოიძებნება, მსხვილი ბიზნესი კინოში ფულის დაბანდებას არ ჩქარობს, არც ტელესამაუწყებლო კომპანიები აქტიურობენ. მათი მხრიდან კინოწარმოებაში მონაწილეობის ერთადერთი შემთხვევა იყო ფილმი ყარაბახი 2", სადაც თანადამფინანსებლად საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოჩნდა. ხოლო იმედის" და რუსთავი 2-ს" კინოგადაღების გამოცდილება სატელევიზიო ფორმატს ვერ გასცდა. სავარაუდოდ, ეს გაქირავების და დისტრიბუციის პრობლემითაა გამოწვეული. გადაღებულ ფილმს მხოლოდ ტელევიზიით თუ აჩვენებენ, რის გამოც ტელეკომპანიას კინოწარმოებაში ფულის ჩადება არ უღირს. გარდა იმისა, რომ კინოცენტრის მიერ გამოყოფილი თანხები ძალიან მცირეა, რაც ფილმის ბიუჯეტის სიმცირეს განსაზღვრავს, ასევე პრობლემატურია უცხოელი კოპროდუსერების პოვნაც. ამის ბოლო მაგალითებია დიტო ცინცაძის მედიატორი" და ოვაშვილის გაღმა ნაპირი".

გოჩა ჟორჟოლიანი: კვლევაზე დაყრდნობით ინგლისური საკონსულტაციო ჯგუფის ასკვნის, რომ განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოში კინოკადრების პრობლემა. გვაკლია ხმის ოპერატორები, გამნათებლები, გრიმიორები, პიროტექნიკოსები, კოსტუმების მხატვრები, დეკორატორები და ზოგადად, ჩვენს მსახიობებს კინოგამოცდილება ნაკლებად აქვთ, ბოლო 20 წლის მანძილზე მათ უფრო თეატრის გამოცდილება მიიღეს, რის გამოც კინოში არასაჭირო დრამატიზმითა მოჭარბებული ემოციებით თამაშობენ.

კადრების პრობლემას ემატება გადასაღები სტუდიების და პავილიონების არ არსებობა, აღარ გვაქვს რეკვიზიტები. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი აქტივები გვაქვს, რაც ჩვენი უპირატესობაა, ინფრასტრუქტურა იმდენად მოუწესრიგებელია, რომ მათი გამოყენება არ ხდება. რამდენიმე ხნის წინ ესპანელი პროდუსერი იყო ჩამოსული, რომელიც ეძებდა ტყის პირას სასტუმროს კვებით და ინტერნეტქსელით. საქართველოში პრობლემაა ამგვარი სასტუმრო, სადაც 40-50 კაცს შეეძლება იცხოვროს და იმუშაოს, ხოლო გზების მოუწესრიგებლობის გამო რთულია ტექნიკის გადაადგილება. ძალიან მნიშვნელოვან საკითხად დგას დაზღვევაც. ჩვენთან არ ხდება არც კინოწარმოების და არც კინოპროდუქციის დაზღვევა, რასაკვირველია, მსახიობების და გადამღები ჯგუფის დაზღვევაც არ ხდება, რაც კინოხარჯებს კატასტროფულად აძვირებს."

კინოწარმოების განვითარებას არანაკლებ აფერხებდა მოუქნელი საგადასახადო სისტემა. ამ მხრივ დღეს უკვე ცვლილებები შეინიშნება: მზადდება პროექტი კინოწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების შესახებ, რაც წაახალისებს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ინვესტორებს.

მაგრამ რაც არ უნდა ბევრი ფილმი ვაწარმოოთ, თუ არ მოწესრიგდება კინოთეატრების ქსელი, ქართული ფილმები მხოლოდ დედაქალაქის მაყურებლისათვის დარჩება ხელმისაწვდომი. ბევრ ფილმს მეტი გზა არც გაუვლია, არც მათი DVD თუ ონლაინგაყიდვები მომხდარა. ხოლო ტელეეთერში ჩვენებისას მათი ჰონორარი ისეთი დაბალია (ერთი ჩვენება 200-400 ლარი) რომ ამით ფილმი წარმოების ხარჯებსაც კი ვერ იღებს. ზოგადად კი მეკობრეობა და ფილმების ინტერნეტით სივრცით გავრცელება მათ გაყიდვას აფერხებს. მართალია, მეკობრული გზით მოპოვებული ფილმები დაბალი ხარისხისაა, მაგრამ მაყურებელი ისევ არჩევანს მათზე აკეთებს და უხარისხობას ეჩვევა.

ჩატარებული კვლევით აღმოჩნდა, რომ კინოთეატრ რუსთაველს" თვეში 18 ათასი მაყურებელი ჰყავს, თუ სხვა კინოთაეტრებზეც გადავიანგარიშებთ, მათი წლიური რაოდენობა დაახლოებით 400 ათასი გამოდის. საბჭოთა პერიოდში წელიწადში 20 მილიონი მაყურებელი შედიოდა კინოთეატრებში. ევროპული სტანდარტით ითვლება, რომ ყოველი კინომოყვარული თვეში შემოსავლის 0,5%-ს ხარჯავს კინოთეატრების ბილეთებზე. როცა ჩვენთან ბილეთი 10 ლარი ღირს, გამოდის, რომ ადამიანს 2 ათასი ლარი უნდა ჰქონდეს შემოსავალი, რათა კინოში წავიდეს რათა ზემოთ დასახელებული მაჩვენებელი გაამართლოს. ასეთი შემოსავლის მქონენი კი საქართველოში ცოტანი არიან. ზოგადად, ჩვენ კინოში სიარულის ჩვევაც დავკარგეთ.

ინგლისელი ექსპერტები არაერთგვაროვნად აფასაებენ მსოფლიო კრიზისს კინოს განვითარებაში, ბევრი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამბობს, რომ ამერიკაში დეპრესიის დროს კინოთეატრები სავსე იყო, ასე რომ ქართული კინოწარმოებაც შესაძლოა, სულაც არ დაზარალდეს.

გოჩა ჟირჯოლიანი: ჩვენი ქვეყნისთვის იდეალური იქნებოდა, რაც შეიძლება ბევრი კომერციული ფილმი გადაგვეღო და აქედან შემოსული მოგებით არტ-ჰაუზის კინო გვეწარმოებინა, რაც მნიშვნელოვანი საექსპერტო პროდუქციაა ჩვენი ქვეყნისათვის, ისევ როგორ ქართული ღვინო".

კომპანია BOP Consulting-მა კვლევების შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს კინოცენტრს მთელი რიგი რეკომენდაციები შესთავაზა:

პირველ რიგში საჭიროა კვალიფიციური კადრები, რისთვისაც ტრენინგები და პროფესიული გადამზადების პროექტები უნდა დაიწყოს, ისე რომ არათუ უცხოელი პროფესიონალების მოწვევა გვჭირდებოდეს, ჩვენი კადრების ექსპორტიც შევძლოთ.

ინგლისელები გვირჩევენ, სკოლებიდან მოსწავლეების კინოში ტარების ტრადიცია აღვადგინოთ, ასევე გავაძლიეროთ კინოთეატრების ქსელი, რათა ხალხს კინოთეატრებში სიარულის კულტურა დაუბრუნდეს. სწორედ ამ მიზნით, აგვისტოს საომარ კონფლიქტამდე, კინოცენტრი რეგიონებში ქართული ფილმების ჩვენებებს აწყობდა ხოლმე. ციფრული ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს პრობლემა შედარებით იოლად მოგვარდეს.

კინოწარმოებაში დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობებში ინგლისელი კონსულტანტები განიხილავენ როგორც საგადასახადო სისტემის შეცვლას, ასევე გათამაშებებზე აქცენტირებას, მაგალითად ლატარიები, როცა უცხოური ფილმის ჩვენებისას ყოველი ბილეთიდან გარკვეული პროცენტი ქართულ კინოწარმოებაში წავა. არანაკლებ პასუხისმგებლობას აკისრებენ საზოგადოებრივ ტელევიზიას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კომერციული არ იყოს, მისი როლი კინოწარმოებაში უნდა გაიზარდოს, რადგან კინო ეროვნულ ღირსებას წარმოადგენს.

BOP Consulting-ის რეკომენდაციათა შორის არის პროფესიული გილდიების შექმნა, სადაც ინფორმაციების თუ პროფესიული გამოცდილების გაზიარება მოხდება. ასევე გვაძლევენ რჩევას რაც შეიძლება მეტი კოპროდუქციები ვაკეთოთ, ეს დაეხმარება ქართულ კინოს, უცხოელ მაყურებლამდე მივიდეს.

ასევე საჭიროა გაღრმავდეს თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებს შორის, რომ კინოცენტრმა პროქტები შექმნას და კულტურის სამინისტროსთან ან, ტურიზმის დეპარტამენთან ერთად. ამის პრეცედენტია კინოცენტრის მიერ გადაღებული location gide, რომელიც კანის ფესტივალზე წარსადგენად მომზადდა, საქართველოს, როგორც კინოგადაღებისათვის საინტერესო ტერიტორიის გაცნობის მიზნით.

ის რომ ქვეყანაში საავტორო უფლებების დაცვის საკითხში აქტიურად უნდა ჩაერიოს სახელმწიფო, მეკობრეობის წინააღმდეგ შესაბამისი ღონიძიებები უნდა გატარდეს, ხოლო ინტერნეტსაიტებიდან ქართული ფილმის გადმოწერა ფასიანი უნდა გახდეს, ამაზე უცხოელი კონსულტანტების რჩევა ალბათ არ უნდა გვჭირდებოდეს, მაგრამ BOP Consulting-ი თავი რეკომენდაციებში ამასაც გვირჩევს, და ახლა უკვე ჩვენზეა დამოკიდებული ან მათ რჩევებს როგორ გამოვიყენებთ, ან კვლევის შედეგებს როგორ გავითვალისწინებთ.

სკოლების აკრედიტაციის შესახებ

სკოლის დირექტორთა ასოციაციის ორგანიზებით, თბილისის 98-ე საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტაციის ჩატარების შესახებ კონფერენცია გაიმართა.

როგორც მედიანიუსს" სკოლის დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თეა თუთბერიძემ განუცხადა, სკოლებში აკრედიტაციები 2010 წლიდან დაიწყება. ამისთვის საჭიროა თითოეული სკოლის აკრედიტაციისთვის მომზადება. კონფერენციაზე სწორედ ეს საკითხები განიხილეს.

კონფერენციას ესწრებოდნენ: თბილისის სკოლის დირექტორები, სამეურვეო საბჭოსა და აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები, საქართველოს პარლმენტის წევრი აკაკი მინაშვილი და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წარმომადგენელი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილი. ამ უკანასკნელმა განათლების რეფორმის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე ისაუბრა. აკაკი მინაშვილმა კი საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას საერთაშორისო კონტექსტში მიმოიხილა.

ჩვენ ასეთი სახის კონფერენციების გაგრძელებას თბილისის გარდა, რეგიონებშიც ვაპირებთ. იმედი მაქვს, საბოლოო ჯამში, ეს პროცესი სკოლებს აკრედიტაციისთვის მომზადებაში დაეხმარება. მიმაჩნია, რომ დღეისათვის აკრედიტაციის გავლას სკოლების მცირე პროცენტი შეძლებს. აკრედიტაციის ცენტრს აქვს მოსაზრება, რომ დაიწყოს პილოტირება, ანუ რაღაც ნაწილში დაიწყოს ეს პროცესი, შემდეგ რა პრობლემებიც გამოიკვეთება, ნიუანსების დაზუსტებაც იმის მიხედვით მოხდება", - აღნიშნა თეა თუთბერიძემ.

ცნობისათვის: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულების თანახმად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სკოლა ითვლება აკრედიტებულად 6 წლის ვადით. ამ პერიოდის განმავლობაში სკოლის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ და სკოლა სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსებით.

მედიანიუსი

ვინ დატოვა "პირველი არხის" სამეურვეო საბჭო?

ირმა სოხაძემ, მარინა ვეკუამ და გია ანჩაბაძემ "პირველი არხის" სამეურვეო საბჭოს 9-კაციანი შემადგენლობა დატოვეს.

აღნიშნული ინფორმაცია "პირველს" საზოგადოებრივ მაუწყებელშიც დაუდასტურეს.

აღსანიშნავია, რომ ირმა სოხაძე საბჭოში ოპოზიციის მიერ წარდგენილი კანდიდატი იყო. ამასთან, იმასაც გეტყვით, რომ ოპოზიციის მიერ წარდგენილმა მეორე კანდიდატმა - გიორგი ტრიპოლსკიმ საბჭო ადრევე დატოვა.

არასაპარლამენტო ოპოზიციის საპროტესტო აქციის მონაწილეები "პირველი არხის" ხელმძღვანელის ლევან ყუბანეიშვილის გადადგომას ითხოვენ. მათ საპროტესტო აქციას ამავე ტელევიზიასთან გამართეს.

"პირველი"

ნიკა გვარამია 17 მოსწავლეს დააჯილდოებს

დღეს განათლების მინისტრი ნიკა გვარამია სასკოლო კონკურსში - "ვწერ თავისუფალ თემას" გამარჯვებულ 17 მოსწავლეს ლეპტოპებით დააჯილდოებს. როგორც "პირველს" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან აცნობეს, კონკურსში ვწერ თავისუფალ თემას" X-XII კლასების განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებული 300-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა და დედაქალაქის სკოლებს წარმოადგენდა.

მწერლებით, ლიტერატორებით, პედაგოგებითა და ჟურნალისტებით დაკომპლექტებულმა კომპეტენტურმა ჟიურიმ 17 გამარჯვებული გამოავლინა. გამარჯვებულთა შორის არიან თბილისის, გორის, ჩოხატაურის, ხაშურის, გარდაბნის, საგარეჯოს, სოფ. დიღმის საჯარო სკოლათა მოსწავლეები.

აღსანიშნავია, რომ კონკურსი "ვწერ თავისუფალ თემას" „ 24 საჯარო სკოლის ინიციატივით უკვე მეოთხედ მოეწყო და წელს პარტნიორი სკოლების კავშირის ეგიდით გაიმართა.

თავისუფალი თემის დასაწერად მონაწილეებს, სხვადასხვა ჰუმანიტარული სფეროდან, 10 სათაური შესთავაზეს, მათ შორის: ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ხელოვნებიდან, ფილოსოფიიდან, მაგალითად: "წარმოგიდგენთ საქართველოს", "ბიბლიის კითხვისას", "რატომ არის "ვეფხისტყაოსანი" შედევრი?", "სამყარო ღიმილში", "იგავთა ვარიაციები" და სხვა.

"პირველი"

ფსონს პიკასოზე დებენ

მსოფლიოს არტ-ბიზნესის წარმომადგენლები ამ დღეებში ერთი გვარის ირგვლივ მსჯელობენ. ეს გვარი არც უცნობია და არც დავიწყებული. პაბლო - დღეს მის ტილოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე განსაზღვრონ დასავლურ სამყაროში ხელოვნების ამჟამინდელი ღირებულება.



5 მაისს, ნიუ იორკში მოეწყობა აუქციონი, რომელზეც იმპრესიონისტებისა და მოდერნისტების ნამუშევრები გაიყიდება.

Sotheby s აუქციონის სახლი აცხადებს, რომ მოსალოდნელი აუქციონის მთავარი ლოტია პაბლო პიკასოს ნამუშევარი - მხატვრის ქალიშვილის პორტრეტი . ეს ნახატი 16-დან 24 მილიონ დოლარამდეა შეფასებული, გვამცნობს Reuters-ი. უკვე დაინერა იმაზეც, რომ ამავე აუქციონზე პიკასოს Christie s სახლიც წარადგენს ნახატით ქალი ქუდით . ეს უკანასკნელი 12-დან 16 მილიონ დოლარამდეა შეფასებული.

პიკასომ ქალიშვილის, მაიას პორტრეტი 1938 წელს შეასრულა, გერნიკას დახატვიდან ცოტა ხნის შემდეგ. ეს პორტრეტი მხატვართან სიცოცხლის ბოლომდე, ანუ 1973 წლამდე ინახებოდა. ნამუშევარი აუქციონზე არასოდეს გამოუტანიათ. Sotheby s ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის პიკასოს ერთ-ერთი საყვარელი ნახატი იყო.

აღსანიშნავია, რომ 2004 და 2006 წლებში Sotheby s აუქციონებზე პაბლო პიკასოს ნამუშევრები რეკორდულ თანხად გაიყიდა. მაგალითად, ბიჭუნა ჩიბუხით (Garcon a la Pipe) 104 მილიონ დოლარად იყიდეს, ხოლო დორა მაარი კატით (Dora Maar with cat) - 95,2 მილიონად.

პიკასოს ბიჭუნამ ჩიბუხით პირველმა მოხსნა რეკორდი, რომელიც 1990 წელს ვან გოგის ექიმ გაშეს პორტრეტმა დაამყარა - ის იაპონელმა მაგნატმა როეი საიტომ 82,5 მილიონ დოლარად შეიძინა. ბიჭუნა ჩიბუხით 1905 წელს დაიხატა. ნაწარმოები მხატვრის შემოქმედებითი ცხოვრების ვარდისფერ პერიოდს განეკუთვნება. 1950 წელს ის ჯონ უიტნიმ, გაზეთ New York Herald Tribune-ს მთავარმა რედაქტორმა, მხოლოდ 30 ათას დოლარად იყიდა. პიკასოს ნამუშევრებს შორის, კიდევ ერთი ძვირადღირებული ნაწარმოები დორა მაარი კატით ავტორმა 1941 წელს შექმნა.

რაც შეეხება პიკასოს ნახატს ქალი ქუდით , რომელსაც მაისის აუქციონზე Christie s სახლი წარადგენს, ეს ტილო მხატვრისა და კინო-რეჟისორის ჯულიანა შნაბელის კოლექციის ნაწილია. შნაბელი ავტორია კინოფილმებისა: ბასკია , სანამ დაღამებულა , სკაფანდრი და პეპელა და სხვა.

გასულ წელს პიკასოს ნამუშევარი ორი ფიგურა , რომელიც 1934 წელს შეიქმნა, Christie s აუქციონზე ნიუ იორკში 18 მილიონ დოლარად გაიყიდა, ხოლო ნახევარი წლით ადრე მისი 1924 წლის ნატურმორტი 12 მილიონ დოლარად. Christie s აუქციონზე გაყიდული პიკასოს ნამუშევართაგან ასევე ძვირადღირებული აღმოჩნდა ნახატი, რომელიც ცისფერ პერიოდს განეკუთვნება, მისი სახელწოდებაა ქალი გადაჯვარედინებული ხელებით .

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეკონომიური კრიზისის მიუხედავად, პიკასოს ქალიშვილის პორტრეტი განსაკუთრებულ დაინტერესებას გამოიწვევს და სარფიანად გაიყიდება. ასეთი მასშტაბის გარიგებებისას, როგორც წესი, ძვირადღირებულ ნაწარმოებთა მყიდველები საკუთარ ვინაობას არ ასახელებენ. ამის მიზეზია ისიც, რომ არ სურთ ყურადღების ცენტრში მოექცნენ და მათი ქონება განხილვის, გნებავთ დაკვირვების საგანი გახდეს. მით უფრო, როცა ხელოვნების ძვირფას ნიმუშებზე ნადირობა გრძელდება.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, პაბლო პიკასოს 650 ათას დოლარად შეფასებული ნახატი მექსიკის დედაქალაქის ერთ-ერთი სახლიდან მოიპარეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქურდმა, რომელიც მეხიკოს ერთ-ერთი ყველაზე რესპექტაბელური გარეუბნის საცხოვრებელში შეიპარა, პიკასოს ჩანახატის გარდა, 90 ათასი დოლარი და საათები ძვირფასი კოლექცია მოიპარა. მან ნაქურდალი მეტალის ჩემოდანში ჩააალაგა და გაუჩინარდა.

მექსისკის გარდა, პიკასო მიუწვდომელი ვერც პარიზში აღმოჩნდა. იქ ერთის ნაცვლად მისი ორი ნამუშევარი ერთდროულად მოიპარეს. ამ ნახატების საერთო ღირებულება ორმოცდაათ მილიონ ევროზე მეტს შეადგენდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქურდმა ნამუშევრები მხატვრის შვილიშვილის, დიანა ვიდმაიერ პიკასოს (Diana Widmaier picasso) სახლიდან გაიტანა. ამ ნამუშევართაგან ერთ-ერთი იყო მხატვრის ქალიშვილის პორტყრეტი - მაიას პორტრეტი თოჯინით (1938 წ.), ხოლო მეორე - პიკასოს მეორე ცოლის, ჟაკლინის, პორტრეტი. აღსანიშნავია, რომ ქურდები პარიზის ცნობილ უბანში მდებარე მდიდრულ სახლში ისე შევიდნენ, რომ არაფერი დაუზიანებიათ.

მართალია, სამართალდამცავებმა ამ ნამუშევართა ქურდები დააკავა, მაგრამ დანაშაულის გახსნამდე მათ ბევრი იშრომეს, რადგან დაკავებულები ამ საქმის პროფესიონალები აღმოჩნდნენ. მილიცია ვერაფერს გახდებოდა, რომ არა ერთი პარიზელი არტ-დილერი, რომელმაც გამოძიებას ხელი შეუწყო.

პათოლოგიურად ავადმყოფი მწერალი

ჯეიმს ბალარდი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა

სამი დღის წინ თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსად მიჩნეული ჯეიმს ბალარდი გარდაიცვალა. საბჭოთა ცენზურით აკრძალული ლიტერატურისა და არა ერთი ცნობილი ფილმის საფუძვლად ქცეული რომანის 79 წლის ავტორი ავთვისებიანი სიმსივნით საკუთარ სახლში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შესახებ პრესას მწერლის ლიტერატურულმა აგენტმა აუწყა, რომელმაც მკითხველისთვის დატოვებული გამოსამშვიდობებელი სიტყვებიც გაახმაურა: მომავალ შეხვედრამდე...

ასეთი გამომშვიდობება ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს ადამიანისგან, რომელიც სამეცნიერო-ფანტასტიკის ჟანრში მუშაობდა და არა ერთხელ აღუნიშნავს კიდეც, რომ სიკვდილის შემდგომი ცხოვრების სჯეროდა. მისი ეს სიტყვები კი გამომშვიდობებასთან ერთად ამ რწმენის გამართლებადაც უნდა მივიჩნიოთ - ჯეიმს ბალარდი უბრალოდ გაემგზავრა.

ჯეიმს ბალარდის სამყაროსადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას ისიც განაპირობებდა, რომ მომავალი მწერალი ერთდროულად ზღაპრულ და სასტიკ სამყაროში იზრდებოდა. იგი 1930 წელს შანხაიში, ბრიტანელი დიპლომატის ოჯახში დაიბადა. 1941-1945 წლებში კი მშობლებთან ერთად იაპონელების მიერ ოკუპირებულ ჩინეთში უცხოელებისთვის მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკში ცხოვრობდა. სწორედ ამ წლების შთაბეჭდილებების გამოძახილია მის მიერ 1984 წელს დაწერილი რომანი მზის იმპერია , რომლის მიხედვითაც სამი წლის შემდეგ სტივენ სპილბერგმა არაჩვეულებრივი დრამა გადაიღო. ფილმში მთავარ როლს, ბიჭუნა ჯიმ გრეჰემის როლს სრულიად ბავშვი კრისტიან ბეილი ასრულებდა, ხოლო ეს პერსონაჟი მწერალმა საკუთარი თავის მიხედვით შექმნა.

საკონცენტრაციო ბანაკიდან გათავისუფლების შემდეგ, 1946 წელს ჯეიმს ბალარდი ოჯახთან ერთად დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა და კემბრიჯის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა. თუმცა მისი ექიმობა მხოლოდ მამის სურვილის დონეზე დარჩა, რადგან ახალგაზრდა ბალარდმა სამედიცინო ფაკულტეტი სამწლიანი სწავლის შემდეგ მიატოვა და ინგლისური ლიტერატურის შესწავლა დაიწყო. 1953 წლიდან დიდ ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალებში ჩაეწერა და ორი წლის განმავლობაში კანადის ტერიტორიაზე მუშაობდა. ამ დროს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავი ლიტერატურისთვის მიეძღვნა, ორიოდე წელიწადში კი მისი პირველი სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანი ქარი არსაიდან გამოვიდა.

ბალარდის ლიტერატურის მკვლევარები გამუდმებით მსჯელობდნენ იმაზე, თუ რამ აიძულა მწერალი ფანტასტიკის ჟანრში ეცადა ბედი, რადგან სიცოცხლეში არა ერთხელ გაუკრიტიკებია კლასიკური ფანტასტიკა: თავიდანვე მინდოდა ისეთი ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა შემექმნა, რომელსაც არაფერი ექნებოდა საერთო კოსმოსურ ხომალდებთან, დროში მოგზაურობასთან და მსგავს სისულელეებთან. მინდოდა ჩემი ნაწარმოებები ნამდვილ ისტორიებზე დაფუძნებული ფანტასტიკა ყოფილიყო. სამეცნიერო ფანტასტიკის ენა კი მაძლევს იმის ლიტერატურულ საშუალებას, რომ სურეალიზმთან ახლოს არსებული ამბები აღვწერო და მკითხველს ბოლომდე გავაგებინო, რისი თქმა მსურს. სწორედ ამის გამო თავიდან ფანტასტ მწერლად მონათლულმა ბალარდმა ნელ-ნელა დიდ ლიტერატურაში გადაინაცვლა, მისი კვლევის სფერო კი არა კოსმოსის უკიდეგანო სივრცეები, არამედ ადამიანის შინაგანი სამყარო და გონება იყო.

როგორც ლიტერატორები ამბობენ, ამ სიღრმეებში მოგზაურობისას ბალარდი საკმაოდ შორს წავიდა, რასაც მალე მოჰყვა მისი, როგორც მწერლის მსოფლიო აღიარებაც. მისი მდგომარეობის განმტკიცების მისია კი რომან ავტოკატასტროფას ერგო, სადაც ავტორი ავარიებსა და სექსუალურ ურთიერთობებს შორის კავშირს ეძებს, საბოლოოდ კი მთავარი გმირი საავტომობილო კატასტროფაში სიკვდილის დაუოკებელ სურვილამდე მიჰყავს. სხვათა შორის, თავად ჯეიმს ბალარდიც არ მალავდა, რომ ამ წიგნზე მუშაობისას იმდენად ჩაიძირა ვნებებისა და სიკვდილის მორევში, რომ პირველივე გამომცემელმა ხელნაწერი შემდეგი მინაწერით დაუბრუნა უკან: ავტორი პათოლოგიურადაა ავად . თუმცა მალე მოიძებნა გაცილებით გამბედავი გამომცემელი და ავტოკატასტროფა ბესტსელერად იქცა. 1997 წელს ამ ნაწარმოების მიხედვით დევიდ კრონენბერგმა ფილმი გადაიღო, რომელიც დღემდე რჩება ჟანრის საუკეთესო ნამუშევრად.

როგორც ზემოთ გითხარით, ჯეიმს ბალარდის ლიტერატურა საბჭოთა კავშირის დროს აკრძალული იყო. მისი პირველი ნაწარმოები დამხრჩვალი გიგანტი რუსულ ენაზე მხოლოდ 1991 წელს ითარგმნა.

სპორტი

თბილისში ევროპული ძიუდოა

გიგა გურასაშვილი

არცთუ სტაბილური პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ევროპა არ შეშინდა და თბილისის ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უჩვეულოდ დიდი შემადგენლობით ეწვია. დღეიდან კვირის ჩათვლით ძიუდოს ქართველი გულშემატკივარი ევროპის ჩემპიონატით იცხოვრებს. მსგავსი რანგის ასპარეზობისთვის საქართველოს არასდროს უმასპინძლია. საუბარია ოლიმპიურ სახეობაზე. ასე რომ, დებიუტთან გვაქვს საქმე.

სპორტის სასახლე, 80 სანტიმეტრზე აწეული საასპარეზო არენა, 40 ქვეყნის წარმომადგენელი, 300-მდე ჟურნალისტი და კიდევ ბევრი ისეთი რამ, რაც ჩვენთვის უცხოა. მთავარი კი ისაა, რომ საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით და შემართებით ხვდება ევროპის ჩემპიონატს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი საკუთარი სამწყსოს სამივე სინჯის მედალს უსახავს მიზნად. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შედეგს დღევანდლამდე დამაკმაყოფილებლად მიიჩნევდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს ნაკრების შვიდივე წევრი ჯანმრთელადაა. შესაბამისად, ტრავმებიც არავის აწუხებს, ისევე როგორ წონის პრობლემა.

ვაჟთა ნაკრებისგან წარმატებებს ვართ ჩვეული, რასაც ვერ ვიტყვით ქალებზე. დღეს კი ქალთა ნაკრებს აქვს ბრწყინვალე შანსი საკუთარ კედლებში მიაღწიოს წარმატებას.

ფაქტია, საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრებს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მედალი ჯერ არასოდეს მოუპოვებია. ისტორიული წარმატების შანსი ქართველ ქალებს დღეიდან მიეცემათ. პირველ დღეს მედლები 60 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშდება.

თბილისი, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი

ქალთა ნაკრები:
48 კგ.
ნაია ვეშაგური
52 კგ.
მარიამ ტარუაშვილი
57 კგ.
ლუიზა ფევაძე
63 კგ.
შორენა შარაძე
70 კგ.
სალომე წოწკოლაური
78 კგ.
ნინო ოძელაშვილი
+78 კგ.
ირინე ლეონიძე

ვაჟთა ნაკრები:
60 კგ.
ნესტორ ხერგიანი
66 კგ.
მინდია ხომიზური
73 კგ.
თენგიზ პაპოშვილი
81 კგ.
ლევან წიკლაური
90 კგ.
ვარლამ ლიპარტელიანი
100 კგ.
ლომერ ჟორჟოლიანი.
+100 კგ.
ადამ ოქრუაშვილი

ახალგაზრდა ბორჯღალოსნები ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრებიან

3-დან 9 მაისამდე ესპანეთი უმასპინძლებს 21 წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატს, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ტურნირის შემადგენლობა არც ისე სოლიდურია - ბობოლებიდან ჩემპიონატში არავინ გამოდის. ბორჯღალოსნებთან ერთად კონტინენტის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებენ რუმინეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, რუსეთის, უკრაინის და შვედეთის ნაკრები გუნდები.

3 მაისს ახალგაზრდა ბორჯღალოსნები ტურნირის მასპინძელ ესპანეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან და, გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინის მატჩში გამარჯვებულთან ითამაშებენ. ფინალი 9 მაისს გაიმართება. სპეციალისტთა ვარაუდით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ფინალში საქართველოსა და რუმინეთის ნაკრები გუნდები უნდა გავიდნენ.

დღეს საქართველოს 21 წლამდელ მორაგბეთა ნაკრები ესპანეთში გაემგზავრება. ჩვენმა ბიჭებმა მზადება მარტში დაიწყეს. ნაკრებში 36 მორაგბე იყო გამოძახებული. საბოლოოდ გუნდის 26-კაციანი შემადგენლობა დადგინდა. ნაკრებში სულ სამი ლეგიონერია, დანარჩენი - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მოთამაშეები.

ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატამდე ერთკვირიან შეკრებას გაივლის მადრიდში, სადაც 29 აპრილს მადრიდის ნაკრებთან ერთ სპარინგს გამართავს.

გუნდის სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

1.ირაკლი მირცხულავა (ლელო), 2.ლადო გუნიავა (თსუ) 3.ვასილ კაკოვინი (თსუ), 4.შალვა მამუკაშვილი (ყოჩები), 5.გიორგი ჯაშიტაშვილი (ხულიგანა), 6.გიორგი ტორაძე (მორეჟო, საფრანგეთი), 7.ლექსო იორდანიშვილი (ლელო), 8.ილია სურგულაძე (თსუ), 9.ბექა ნიკოლაიშვილი (ყოჩები), 10.დავით ჩიჩუა (ყოჩები), 11.არჩილ კობაური (მასი, საფრანგეთი), 12.ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო), 13.ჯაბა კიკვიძე (STM, ინგლისი), 14.გიორგი კალმახელიძე (ყოჩები), 15.გიორგი როხვაძე (აია), 16.შალვა მახარაშვილი (ყოჩები), 17.ლაშა ხმალაძე (ლელო), 18.გიორგი ლომინაძე (ლელო), 19.ალექსანდრე ტუჩაშვილი (ლოკომოტივი), 20.რატი ხუციშვილი (თსუ), 21.დავით გრძელიშვილი (ყოჩები), 22.რატი ნუცუბიძე (თსუ), 23.გიგა კორკელია (ლელო), 24.სანდრო ინაშვილი (ყოჩები), 25.გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), 26. გიგი გაბუნია (ყოჩები)

მთავარი მწვრთნელი: ნიკოლოზ ჭავჭავაძე

მწვრთნელი: სპირიდონ ლიპარტელიანი

მენეჯერი: ოთარ იაშვილი

ევროპის ჩემპიონატის განრიგი

3 მაისი
M1. 10:00 რუმინეთი (1-ლი განთესვა) - შვედეთი (8)
M2. 15:15 რუსეთი (2) - უკრაინა (7)
M3. 13:30 საქართველო (3) - ესპანეთი (6)
M4. 11:45 პორტუგალია (4) - გერმანია (5)

6 მაისი
M5. 15:15 M1-ს მოგებული - M4-ს მოგებული
M6. 17:00 M2-ს მოგებული - M3-ის მოგებული
M7. 13:30 M1-ს წაგებული - M4-ის წაგებული
M8. 18:45 M2-ს წაგებული - M3-ს წაგებული

9 მაისი
M9. ფინალი. 17:45. M5-ს მოგებული - M6-ს მოგებული
M10. მატჩი მე-3 ადგილისთვის. 16:00. M5-ს წაგებული - M6-ს წაგებული
M11. მე-5 ადგილისთვის. 14:15. M7-ს მოგებული - M8-ს მოგებული
M12. მე-7 ადგილისთვის. 12:30. M7-ს წაგებული - M8-ს წაგებული

"ჩერჩილის" თასს კანადით ვიწყებთ

6-28 ივნისს საქართველოს ნაკრები წელს პირველად ჩაებმება "ჩერჩილის" თასის გათამაშებაში, რომელიც ირბ-ის საერთაშორისო კალენდარში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სანაკრებო შეჯიბრებად ითვლება. 6-გუნდიანი ტურნირი 2 სამგუნდა პულებად არის დაყოფილი. "ბორჯღალოსნები" მოხვდნენ "ა" პულში კანადასა და ირლანდიის "ა" ნაკრებთან ერთად, ხოლო "ბ" პულში არიან: ინგლისის "საქსონები", აშშ-ის ნაკრები და არგენტინის "იაგუარები". რიგით მე-7 "ჩერჩილის" თასის გათამაშებას აშშ-ში კოლორადოს შტატის ორი ქალაქი - გლენდეილი და დენვერი უმასპინძლებს. ჯგუფური ეტაპის მატჩებს გლენდეილის "ინფინითი პარკი" მიიღებს, ფინალური ბრძოლები კი დენვერის "დიკს სპორტინგ გუდს პარკზე" გაიმართება. ტიმ ლეინის რაზმს სასტარტო შეტაკება 6 ივნისს კანადასთან ექნება, ხოლო მეორე თამაში ირლანდიის "ა" ნაკრებთან 14 ივნისს გაიმართება. "ჩერჩილის" თასის გათამაშება 2003 წელს დაარსდა და სახელწოდება დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის პატივსაცემად შეირჩა.

"ასკა" სიომინთან ერთად "ლოკომოტივში" ბრუნდება?

მოსკოვის "ლოკომოტივში" აქტიურად განიხილავენ იური სიომინის დაბრუნების საკითხს. 61 წლის სპეციალისტი ახლა კიევის "დინამოს" მთავარი მწვრთნელია. მან გუნდი უეფას თასის ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც კიეველებს ფინალური საგზურისთვის თანამემამულე "შახტართან" მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. ორიოდე დღის წინ სიომინი მოსკოვში იმყოფებოდა - არის ვერსია, რომ მისი ვიზიტი უკავშირდებოდა კლუბთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმებას. სარწმუნო წყარო იმასაც იუწყება, რომ სიომინის პარალელურად განიხილებოდა ვალერი გაზაევის კანდიდატურაც. თუ არჩევანი სიომინზე შეჩერდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს მალხაზ ასათიანს გარკვეულწილად შეუმსუბუქდება პრობლემები, რაც მას დაუგროვდა მოსკოვის "ლოკომოტივში." ახლა ასათიანი სიომინის გუნდში - კიევის "დინამოშია" და თუ "პალიჩი" "ლოკომოტივს" დაუბრუნდა, დიდი შანსია, რომ მალხაზსაც მიეცეს მოსკოვურ კლუბში თავის გამოჩენის საშუალება.

საქა-რთველომ და გეორ-გიამ ასპარეზობა განაახლეს

პლაჟის ფრენბურთში საქართველოს სახელით მოასპარეზე ბრაზილიელებმა გაზაფხულის დადგომასთან ერთად ასპარეზობა განაახლეს.

ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში სტარტი აიღო Banco do Brasil Open-ის სახელით ცნობილმა მსოფლიო ტურის ეტაპმა, რომელშიც გეორ-გია და საქა-რთველოც ჩაებნენ.

საქა-რთველო, რომლის ღირსებას ბრაზილიელი გოგონები ანდრეა ჩაგაში და კრისტინა სანტანა იცავენ, ტურნირზე მე-17 ნომრად განთესეს.

პირველ შეხვედრაში მათ მე-16 რეიტინგის მქონე ჰოლანდიელებს (რემერსი-ვესელინკი) 2:0 (21:16, 21:14) სძლიეს, შემდეგ კი პირველ ნომრად განთესილ ამერიკელებთან (როსი-ბოსი) 0:2 (13:21, 16:21) წააგეს.

ვაჟთა წყვილ გეორ-გიას, რომელსაც ასევე ბრაზილიელები რენატო გომეში და ჟორჟ ტერშეირო წარადგენენ, პირველი მატჩი დღეს გამთენიისას უნდა ჩაეტარებინა.

ოდიკაძე და ალექსიძე უნგრეთის თასისთვის იბრძოლებენ

დავით ოდიკაძისა და რატი ალექსიძის დიორ ეტომ უნგრეთის თასის ფინალში გააღწია.

დიორელებმა მტკ-სთან ორრაუნდიანი ნახევარფინალური დაპირისპირება მოიგეს. პირველი მატჩი ჩვენებურების კლუბს 2:1 ჰქონდა მოგებული, განმეორებითი კი ფრედ - 2:2 დასრულდა.

ოდიკაძე მე-80 წუთზე შეცვალეს, ხოლო რატი ალექსიძე სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა.

უნგრეთის თასის ფინალში ქართველთა კლუბი ჰონვედს შეერკინება.

დელ პიერო: "მეორე ადგილს წარმატებად ვერ ჩავთვლი"

"იუვენტუსის" კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ასახელებს მიმდინარე სეზონში კლუბის წარუმატებლად გამოსვლის მიზეზებს. ფაქტია, რომ ტურინელებმა მიმდინარე წელს ვერ გაუწიეს სათანადო კონკურენცია "ინტერს", რომელიც დამაჯერებლად ლიდერობს სერია "ა"-ს და პრაქტიკულად უკვე გაინაღდა იტალიის ჩემპიონის ტიტული. "პრობლემა მარტო ის არ არის, რომ გვჭირდება ორი-სამი მაღალი კლასის ფეხბურთელის ყიდვა, - ამბობს დელ პიერო, - არის წარუმატელობის კიდევ რამდენიმე მიზეზი. მაგალითად, ბევრი მატჩი ვითამაშეთ ზამთარში საღამოს, როცა ციოდა და ნალექიც მოდიოდა. ამან უდავოდ შეგვიშალა ხელი სრულად გამოგვევლინებინა ჩვენი შესაძლებლობები. ამასთან, შესაძლოა მსაჯის სრულიად უმნიშვნელო შეცდომამაც კი გადაწყვიტოს მატჩის ბედი. თუმცა ამ სიტუაციაში ჩვენი დანაშაულიცაა. შეტევისა და დაცვის რგოლში დაშვებულმა შეცდომებმა არ მოგვცა საშუალება, რომ დიდი წარმატებებისთვის მიგვეღწია. ეს შეცდომები უნდა გამოვასწოროთ. სხვა დროს არ მინდა მეორე ადგილით დავკმაყოფილდე. ეს სრულიად არ არის ჩემი ადგილი. ასე რომ, მიმდინარე წელს ჩემთვის წარმატებულს ვერ ვუწოდებ," - ამბობს დელ პიერო. კანავაროს სანკტ პეტერბურგში ეპატიჟებიან

მადრიდის "რეალის" 35 წლის მცველი ტურინის "იუვენტუსში" დაბრუნებას ცდილობს, თუმცა უკვე გამოჩნდნენ ის გუნდებიც, რომელთაც სურთ, იტალიელი თავისთან იხილონ. ამგვარ გუნდთა რიგებშია სანკტ პეტერბურგის "ზენიტი". მის გარდა, კანავაროს გადაბირებას გერმანული და ინგლისური კლუბებიც ცდილობენ.

ემერსონი "მილანიდან" წავიდა

ვეტერანმა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ემერსონმა "მილანი" დატოვა და ზაფხულის სატრანსფერო სეზონში ახალი კლუბის მოძებნას ეცდება. სამხრეთამერიკელმა, რომელიც როსონერის ძირითადში ძალიან იშვიათად ხვდება, თავად ითხოვა გუნდიდან წასვლა. კლუბის მესვეურებმა მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, რასაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტის გაწყვეტა მოჰყვა.

"ელ კლასიკო" რობენის გარეშე ჩაივლის

3 მაისს სანტიაგო ბერნაბეუზე მორიგი ესპანური კლასიკო გაიმართება. რეალისთვის ამ თამაშის მოგება ალბათ ერთადერთი შანსია იმისა, რომ ბარსელონას ჩემპიონობაში შეეცილოს. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში სამეფო კლუბს ვერ დაეხმარება ჰოლანდიელი შემტევი არიენ რობენი, რომელმაც ხეტაფესთან მატჩში ტრავმა მიიღო. ექიმების თქმით, არიენს, სულ მცირე, სამი კვირა დასჭირდება ტრავმის მოსაშუშებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ რობენისთვის სეზონი ფაქტობრივად დასრულებულია.

მალუდას ლონდონის დატოვება არ სურს

ლონდონის ჩელსის ფრანგმა ნახევარმცველმა ფლორან მალუდამ იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობა მას გუნდს არ დაატოვებინებს.

საკუთარ მომავალს ჩელსისთან ვაკავშირებ. ჩემი შემდგომი კარიერის შესახებ ბევრს საუბრობენ, მაგრამ მე ლონდონში დარჩენა მინდა, - დასძენს მალუდა, რომელიც არისტოკრატთა ღირსებას 2007 წლიდან იცავს.

არც ისე დიდი ხნის წინ, სანამ ჩელსის გუს ჰიდინკი ჩაიბარებდა, მალუდას კლუბის დატოვება უნდოდა და ამას არც მალავდა. ახლა კი, როცა ჩელსიში ვითარება გამოსწორდა და, რაც მთავარია, ჰიდინკი მალუდას ენდობა, ფეხბურთელმა კლუბში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

ლისანდრო კლუბის შეცვლას აპირებს

პორტუს არგენტინელი მეგოლე ლისანდრო ლოპესი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში დრაკონების დატოვებას და სხვა კლუბში გადასვლას აპირებს.

მართალია, ლისანდროს პორტუსთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ფეხბურთელს პორტუგალიურ გრანდში დარჩენა აღარ უნდა და სეზონის დასრულებისთანავე დაიწყებს მოლაპარაკებას პორტუს მესვეურებთან ტრანსფერის თაობაზე. გუნდიდან წასვლის მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ლისანდროს ევროპულ ასპარეზზე სურს თავის გამოჩენა და უფრო ძლიერ გუნდში თამაში, ვიდრე პორტუა .

ვეიდმა ქორები გაანაწყენა



ფაჩულია მეტოქის ფარს უტევს

უკანასკნელი ორი დღე დატვირთული გამოდგა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც უცხოეთში ასპარეზობენ. ჩვენმა ბიჭებმა მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშეს საკუთარი გუნდების შემადგენლობაში. საუბარს, ცხადია, დავიწყებთ ზაზა ფაჩულიას ატლანტა ჰოუქსით , რომელმაც NBA-ს აღმოსავლეთ კონფერენციის პლეიოფის პირველ რაუნდში მეორე მატჩი გამართა მაიამი ჰითთან . პირველ შეხვედრაში ჯორჯიელებმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს, ზაზა ფაჩულიამ კი ორმაგი დუბლი მიითვალა. ზედიზედ მეორე მარცხი მაიამელთათვის კატასტროფა იქნებოდა. ამიტომ მეორე მატჩზე ჰითის კალათბურთელები საოცარი შემართებით გამოვიდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა მაიამელთა ლიდერი დუეინ ვეიდი, რომლის წყალობითაც ჰითმა სტუმრად გაიმარჯვა ანგარიშით 108:93 და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. ვეიდმა შეხვედრა 33 ქულით, 5 მოხსნით და 7 შედეგიანი გადაცემით დაასრულა. ის ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, როგორც მოსალოდნელი იყო, მაიკ ვუდსონმა ის კვლავ სათადარიგოთა სკამიდან ჩართო თამაშში და სულ 15 წუთი მისცა თავის გამოსაჩენად. დროის ამ მონაკვეთში ზაზამ თავის გუნდს 3 ქულა და 3 მოხსნა შეაწია. ფაჩულიას მთავარმა კონკურენტმა ალ ჰარფორდმა ერთი შეხედვით კარგად ითამაშა და ორმაგი დუბლიც გაახერხა (11 ქულა და ამდენივე მოხსნა), თუმცა, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ჰარფორდისთვის ეს არც ისე წარმატებული მატჩი იყო. ატლანტას ძირითადმა ცენტრმა თამაშიდან ნატყორცნი 9 ბურთიდან მხოლოდ 5 შეასრულა შედეგიანად, 4 საჯარიმოდან კი 3 მიზანს ააცილა.

ვადაზე ადრე ვერ მოახერხა პლეი-ოფის პირველი ეტაპის ბარიერის დაძლევა მანუჩარ მარკოიშვილის ბკ კიევმა . პულსართან ორთაბრძოლის პირველი ორი კიევური მატჩი მანუმ და მისმა თანაგუნდელებმა მოიგეს, მესამეს კი პულსარმა უმასპინძლა და მეტოქის ძლევით მომდევნო ეტაპზე გასვლის მცირე შანსი შეინარჩუნა. თამაში არც ისე საინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა ანგარიშით 58:55 მოიგეს. მარკოიშვილმა თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, მოედანზე 37 წუთი დაჰყო და გუნდს 13 ქულა შესძინა.

ხორვატიის საკალათბურთო ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება იზეიმა ვლადიმერ ბოისას ზადარმა და 6 მოგებითა და 1 მარცხით მე-2 ადგილი შეინარჩუნა.

ზადარელებმა სლავონსკი ბროდის სვეტლოსტთან გასვლით მატჩში 85:73 გაიმარჯვეს. ქართველმა კალათბურთელმა კი სტუმართა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 24 წუთში 8 ქულა, 2 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

ბოისამ 6-დან 3 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი კი მიზანს ააცილა.

ესტონეთში რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა. ქართველთა როკმა 26 მოგებითა და 2 მარცხით პირველი ადგილი დაიკავა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ნაკრების წევრებს ვიქტორ სანიკიძეს და გიორგი ცინცაძეს. დასკვნით მატჩებში ტარტუელებმა კურემაას - 116:93, ხოლო ტტუ კკ -ს 91:83 სძლიეს, სანიკიძემ კი ჯამში 43 ქულა მიითვალა.

კურემაასთან გასვლით მატჩში ვიქტორმა 29 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება 23 წუთში დააგროვა.

ქართველმა კალათბურთელმა, რომელმაც როკის სასტარტო ხუთეულში იასპარეზა, 15-დან 13 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო და, ცხადია, მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

ამავე მატჩში გიორგი ცინცაძემ 17 წუთში 6 ქულა, 1 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. მან სამივე ორქულიანი ჩააგდო და ასპარეზობა ასპროცენტიანი შედეგით დაასრულა.

სანიკიძეს დიდხანს არც ტტუ კკ -სთან მატჩში უთამაშია, თუმცა, მოედანზე კვლავ ერთერთი საუკეთესო იყო.

ვიქტორმა 6-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 19 წუთში 14 ქულას, 3 მოხსნას და 2 ჩაჭრას გამორჩა.

ცინცაძემ ამჯერადაც ტარტუელთა სასტარტო ხუთეულში იასპარეზა და გუნდს 30 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა, 4 პასი და 4 ჩაჭრა შესძინა.

ტარტუელებმა უმთავრეს კონკურენტს კალევ კრამოს ჩემპიონატში სამი მოგებით აჯობეს და მასთან ერთად ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს.

ტევესი კლუბს ეძებს

ტევესი "მანჩესტერს" დატოვებს

ინგლისის მანჩესტერ იუნაიტედისა და არგენტინის ნაკრების ფორვარდი კარლოს ტევესი მანკუნიანური კლუბის დატოვებას აპირებს. ამის შესახებ ინფორმაცია ბრიტანულმა მედიამ გაავრცელა.

ბევრი შემოთავაზება მაქვს, თანაც არა მარტო ესპანეთიდან. გადაწყვეტილებას არა მხოლოდ ფულის, არამედ სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით მივიღებ. მაგალითად, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ახალ გუნდში გადასვლის შემდეგ ჩემი ოჯახი, განსაკუთრებით კი ქალიშვილი, თავს კომფორტულად იგრძნობს. ბევრ რამეზე მომიწევს დაფიქრება , - დასძინა ტევესმა, რომელსაც ალექს ფერგიუსონის გუნდში თამაშის ორწლიანი ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება.

კარლოს ტევესის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად ორი ფაქტორის მოყვანა შეიძლება. პირველი და უმთავრესი ალბათ ის არის, რომ მანჩესტერში დიდი კონკურენციაა და არგენტინელი ძირითადში ვერ ხვდება. ფერგიუსონს ურჩევნია ძირითადში ბერბატოვ-რუნი-რონალდუს ტრიო ათამაშოს და ტევესს დუბლიორის როლი დააკისროს. ცხადია, ამბიციური არგენტინელისთვის შექმნილი ვითარება მიუღებელია. თანაც არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა და ტევესის საფეხბურთო კერპმა დიეგო მარადონამ არაერთხელ აღნიშნა, რომ კარლოსისთვის უკეთესი იქნება, თუ ის გუნდს შეიცვლის და მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ექნება.

რაც შეეხება მეორე მიზეზს, როგორც ზემოთ ვთქვით, ტევესს მანჩესტერთან აკავშირებს კონტრაქტი, რომელიც სეზონის დასრულებისთანავე ამოიწურება. კლუბის მესვეურებს ფეხბურთელისთვის ჯერაც არ შეუთავაზებიათ ახალი კონტრაქტის გაფორმება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არც კლუბი ცდილობს არგენტინელის შენარჩუნებას. მართალია, სერ ალექს ფერგიუსონს არაერთხელ უთქვამს, რომ ტევესი მისი გუნდის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგრამ ფერგიუსონის სიტყვები საქმით არ განმტკიცდა.

თუ ტევესმა საბოლოოდ გადაწყვიტა მანჩესტერის დატოვება, არჩევანი დიდი ექნება. მის გადაბირებაზე, პირველ რიგში, მადრიდის რეალი მუშაობს. სამეფო კლუბი კარლოსისთვის ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს, თუმცა, ექნება თუ არა ტევესს რეალის ძირითადში თამაშის გარანტია, ამაზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა არ შეიძლება.

ბექჰემს ტოტენჰემში იწვევენ

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ლონდონის ტოტენჰემი 2010 წლის მუნდიალის დასრულების შემდეგ ბექჰემის შეძენას აპირებს.

როგორც იცით, ამჟამად დევიდი მილანში თამაშობს, თუმცა 2009 წლის ოქტომბრამდე ამერიკული ლოს ანჯელეს გელექსის კუთვნილებაა. დევიდმა სეზონი იტალიურ გრანდში უნდა დაასრულოს, ზაფხულში კალიფორნიულ გუნდს შეუერთდეს და ოქტომბრამდე ითამაშოს. შემდეგ, წესით, ისევ მილანში უნდა დაბრუნდეს და 2009-10 წლების სეზონი როსონერიში დაასრულოს. ამის შემდეგ კი ბექსის ბედი გაურკვეველია. ფეხბურთელის ასაკის გამო შესაძლოა მილანმა მასთან კონტრაქტი არ გაახანგრძლივოს. ასეთ ვითარებაში დევიდისთვის ტოტენჰემი იდეალური ვარიანტი იქნება - ფეხბურთელს საშუალება მიეცემა მშობლიურ ქალაქში დაასრულოს კარიერა.

ბექჰემს სთავაზობენ, მშობლიურ ქალაქში დაასრულოს კარიერა

დეზებს ფული ნამდვილად არ უჭირთ. მარტო გასულ ზაფხულს ლონდონურმა კლუბმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა, მაგრამ ეს ფული წყალში გადაყრილი აღმოჩნდა, რადგან, იმის ნაცვლად, რომ ტოტენჰემს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ებრძოლა, გუნდი გასავარდნ ზონაში აღმოჩნდა და ახლა ელიტაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობს.

ბექსის შეძენის მთავარი ინიციატორია ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი. თუ ის ლონდონურ კლუბში 2010 წელსაც იმუშავებს, ბექჰემი შესაძლოა მართლა აღმოჩნდეს ტოტენჰემში .

ჰატონს პაკიაოს სწორხაზოვნება აღიზიანებს

გიგა გურასაშვილი

მანჩესტერელ რიკი ჰატონს (რატომღაც ხშირად უსვამენ ხაზს მის წარმომავლობას) 2 მაისს ლას ვეგასში MGM Grand-ის რინგზე დიდი ჩხუბი ელის. თან ისეთ კაცთან, რომელიც, წონითი კატეგორიების მიუხედავად, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედაა აღიარებული. საუბარია ფილიპინელ მენი პაკიაოზე, რომელსაც ბრიტანელი სწორხაზოვან და ერთფეროვან მოკრივედ თვლის. ამასთან, სჯერა, რომ ფილიპინელს ფიზიკურად აღემატება. ეს ყველაფერი კი უთუოდ თავის როლს ითამაშებსო.

მენი ყოველთვის ერთი და იგივე მანერით ჩხუბობს, რასაც მისთვის წარმატება მოაქვს. თუმცა, მრავალმხრივ განვითარებული და მოქნილი მოკრივე მაინც არ არის. ცხადია, დღემდე არ შეხვედრია ისეთ მრისხანე, მკაცრ და უხეშ მოკრივეს, როგორიც მე ვარ. რა თქმა უნდა, არც ფიზიკურად ძლიერი მეტოქეები ჰყოლია. არა მგონია, ასეთი დაუმარცხებელი იყოს. მისი შეტევები სწორხაზოვანია, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ იოლად მოსცხო ყბაში. თუ დარტყმა გაატარა, ესე იგი, ყველაზე მაგარი მოკრივისგან იგემებს მუშტს, - რა თქმა უნდა, აქ საკუთარ თავს გულისხმობს ჰატონი. არა მგონია, მენის აქამდე ამ წონაში ეჩხუბოს. ოსკარ დე ლა ჰოიასადმი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, მაშინდელ ჩხუბში ამერიკელი უფრო სავარჯიშო მსხალს მაგონებდა (ბრიტანელი იხსენებს 6 დეკემბრის ლასვეგასურ ჩხუბს, რომელიც პაკიაოს ოსკარზე რვა რაუნდში გამარჯვებით დასრულდა. - რედ.) .

ამასობაში პაკიაოს პრომოუტერი ბობ არუმი ფილიპინელს აქედანვე უჩარხავს მომავალ ჩხუბს. ამ შემთხვევაში საუბარია საშუალო წონის მსოფლიო ჩემპიონზე მიგელ კოტოზე. არუმის თქმით, საბოლოო სიტყვა თავად მოკრივეებზეა. თუ ორივე მხარე ისურვებს ამ ჩხუბს, არუმი, რომელიც პაკიაოსა და კოტოს პრომოუტერია, ორთაბრძოლის ორგანიზებაზე იზრუნებს. Manila Bulletin-თან საუბარში არუმი აღნიშნავს, რომ ჰატონთან ჩხუბის შემდეგ პაკიაო რინგზე ნოემბრამდე აღარ გავა.

უახლოეს ხანებში რინგზე გასვლა უწევს კოტოსაც. 13 ივნისს მიგელ კოტო მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ჯოშუა კლოტს შეხვდება.

ამ ორთაბრძოლის ჩატარება მედისონ სქვეა გარდენში შეგვეძლება, - ამბობს არუმი, - მენიმ მაცნობა, რომ ჰატონთან ჩხუბის შემდეგ, ნოემბრის ბოლოს, რინგზე ხელმეორედ გასვლა შეეძლება. კრივის გულშემატკივართა დიდ ნაწილს სურს იხილოს პაკიაოს დაპირისპირება ხუთ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან .

გავრცელებული ხმების თანახმად, მეივეზერი მზადაა დაუბრუნდეს რინგს. თუმცა, არუმის განმარტებით, ეს ნაკლებად შესაძლებელია, რადგან მეივეზერი რინგზე დასაბრუნებლად მეტისმეტად დიდ ჰონორარს ითხოვს.

ფლოიდი საერთო საპრიზო ფონდიდან 60 პროცენტს ითხოვს. დღევანდელი გადასახედიდან მიმაჩნია, რომ მენი, როგორც ვარსკვლავი, უფრო იმსახურებს საპრიზო ფონდის დიდ ნაწილს .

ამ მხრივ პაკიაოს მწვრთნელი ფრედი როუჩი უფრო კატეგორიულია, რაც მისი განცხადებიდანაც ნთალად ჩანს. როუჩის თქმით, მისი ქვეშევრდომი მზადაა შეხვდეს ნებისმიერ მეტოქეს, მათ შორის მეივეზერს და ხუან მანუელ მარკესს, რომელიც, თავის მხრივ, მესამე ორთაბრძოლას ითხოვს ფილიპინელთან.

მზად ვართ ნებისმიერ მეტოქესთან საჩხუბრად, - ამბობს როუჩი, - ჩავატარებთ იმ ორთაბრძოლას, რომელიც მეტ ფულს მოგვიტანს. თუ ფლოიდს ან მარკესს ჩხუბი უნდა, ბობ არუმი მზადაა პირობები შეათანხმოს. არავის არ გავურბივართ და არავისი არ გვეშინია. გვინდა შესაძლო ორთაბრძოლებიდან საუკეთესო ჩავატაროთ და ამისთვის მეტი ჰონორარი მივიღოთ. გვინდა მაყურებელმა მისთვის სასურველი ჩხუბი იხილოს .

აღსანიშნავია, რომ ადრე როუჩი მეივეზერთან ორთაბრძოლის შესაძლებლობას სკეპტიკურად უყურებდა. არგუმენტად კი მოკრივეთა განსხვავებული ჩხუბის მანერა მოჰყავდა.

მერსისაიდელებმა პოლონელ ნახევარმცველს დაადგეს თვალი

ინგლისის ლივერპულს გერმანიის პირველი ბუნდესლიგის კლუბ დორტმუნდის ბორუსიადან ნახევარმცველ იაკუბ ბლაშჩიკოვსკის შეძენა სურს.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, მერსისაიდელები მზად არიან ფეხბურთელში 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ.

კალდერონი პერესის წინააღმდეგ

მადრიდის რეალის ყოფილმა პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა თავისი წინამორბედი ფლორენტინო პერესი გააკრიტიკა.

რეალი რთული კლუბია, რომელიც მოთამაშეებს, პრეზიდენტებს და მწვრთნელებს ინელებს. თავის დროზე ფლორენტინოს არ სურდა, რომ გუნდში რაული და კასილასი დარჩენილიყვნენ. პერესმა მხოლოდ ქომაგთა ზეწოლის შედეგად გაუხანგრძლივა კონტრაქტი კასილასს, თუმცა, იმავდროულად ბუფონთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, - განაცხადა კალდერონმა. შეგახსენებთ, რომ ფლორენტინო პერესი მიმდინარე წლის ივნისში მადრიდის რეალის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებს.

კამენი ინგლისისკენ იყურება

ესპანეთის ესპანიოლის კამერუნელი მეკარე კარლოს კამენი, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება, კარიერის გაგრძელებას ინგლისის საფეხბურთო პრემიერლიგაში გეგმავს.

მინდა სხვა ლიგაში ვითამაშო, მაგრამ ესპანეთში დარჩენას არ გამოვრიცხავ. ინგლისის ჩემპიონატი ძალიან მომწონს და პრემიერლიგაში თამაში მინდა. ერთ-ერთ კლუბს წინასწარ მოველაპარაკე, მაგრამ კონკრეტულ შეთანხმებამდე არ მივსულვარ. ამიტომ მზად ვარ სხვა წინადადებებიც განვიხილო. მიმდინარე წლის ზაფხულში კლუბთან კონტრაქტი მიმთავრდება და ახალი სამუშაოს ძებნას გულმოდგინედ შევუდგები, - თქვა კამენიმ.

ლუჩესკუ "შახტარში" რჩება

მირჩა ლუჩესკუმ, რომელსაც ერთხანს შახტარიდან გაგდებას უწინასწარმეტყველებდნენ, უკრაინულ კლუბთან ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი და ხელფასის სახით კიდევ სამ მილიონ ევროს მიიღებს. მართალია, შახტარი უკრაინის ჩემპიონატში დამაჯერებელ თამაშს ვერ აჩვენებს, მაგრამ ლუჩესკუმ დონეცკური კლუბი უეფას თასის ნახევარფინალში გაიყვანა, რაც კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა დააფასა - რუმინელ მწვრთნელს კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი.

ლუჩესკუს რუმინეთის ნაკრების მწვრთნელობას სთავაზობდნენ, მაგრამ მან დონეცკში დარჩენა ამჯობინა, მით უმეტეს, რომ რუმინეთის ნაკრებში ასეთ ხელფასს ვერ მიიღებდა.

ალჟირის ნაკრები მიშელს ჩააბარეს

გამოცდილი ფრანგი სპეციალისტი ანრი მიშელი ალჟირის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

მიშელს მთავარ მიზნად 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვება დაუსახეს. მისი ხელმძღვანელობით ალჟირელები უახლოეს მატჩს მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტთან - ეგვიპტის ნაკრებთან 7 ივნისს გამართავენ.

სანტა კრუზი "ბლექბერნს" დატოვებს

ინგლისურ ბლექბერნში მოთამაშე პარაგვაელმა ფორვარდმა როკე სანტა კრუზმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ზაფხულში კლუბს დატოვებს.

საკუთარი მოსაზრებები ბლექბერნის ხელმძღვანელობას უკვე გავაცანი. უფრო ამბიციურ გუნდში ასპარეზობა მინდა და ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. მუხლის ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში ალბათ ვეღარ ვითამაშებ. მინდორზე დაბრუნებას არ ვჩქარობ, რადგან მირჩევნია ბოლომდე გამოვჯანმრთელდე და მომავალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდე , - აღნიშნა სანტა კრუზმა.

ბელამმა სეზონი ნაადრევად დაასრულა

ინგლისის მანჩესტერ სიტის წამყვანი ფორვარდი კრეიგ ბელამი, სავარაუდოდ, მიმდინარე სეზონში თავის გუნდს ვეღარ დაეხმარება. ინგლისური კლუბის ოფიციალური საიტი იუწყება, რომ გასულ ზამთარს ვესტ ჰემიდან სიტიში გადასულმა თავდამსხმელმა ბოლო 30 დღის განმავლობაში ორჯერ მიიღო მუხლის ტრავმა - ჯერ კლუბში, ხოლო მოგვიანებით უელსის ნაკრებში. სავარაუდოდ, ბელამის სრული გამოჯანმრთელებისთვის დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ ის მიმდინარე სეზონის დარჩენილ მატჩებში ვეღარ იასპარეზებს.

დურბანში (სამხრეთ აფრიკა) "კინგსმედ კრიკეტ სტეიდუმზე" კრიკეტის სამყაროსთვის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს მოუყრიათ თავი. ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ინდოეთის, შრი ლანკას, ბრიტანეთის, პაკისტანის კლუბებს სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლები გაუჩაღებიათ. კრიკეტის სანახაობრიობაზე თავის დადებას არ ვაპირებთ, მაგრამ თუ მატჩამდე ვინმეს მოედნისკენ სხვაგვარადაც გაურბოდა თვალი, მხოლოდ იმიტომ, რომ მაყურებელს ცეცხლოვანი მოძრაობებით ამხნევებდნენ "ჩირლიდერები".

საბავშვო საკომისიო მაღაზია

ჭოჭინა

15 ლარი

5 ლარი

10 ლარი

10 ლარი

10 ლარი

მაღალი ხარისხის საბავშვო საქონელი ყველაზე იაფად!

15 ლარი

10 ლარი

3 ლარი

10 ლარი

5 ლარი

50 - 150 ლარი

ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N6, ტელ: 897 46 25 26, 855 100 809. www.welcom.ge/chochina; E-mail: chochina.chochina@gmail.com,

24 საათი

The New York Times
Articles selected for 24 საათი

Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;